სახალხო გაზეთი

№ 1009 შაბათი, 5 ოქტომბერი 1913 წ. № 1009

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი, ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მათვარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში— მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ტელეფონი №12-29

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 2 მ. 25 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

უბედური დედა და მამა, **გიორგი და ეკატერინე აბდუშელიშვილები** და შვილნი მათნი: **ყარამან, ნიკო, პეტრე, გიგო, ვასო და ადიკო** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: პირველნი საყვარელი შვილისა და მეორენი ძმის

ზურაბ გიორგის ძის აბდუშელიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 6 ოქტომბერს, შორაპნის მაზრაში სოფელ შალაურში. 676.

კვირას, 6 ოქტომბერს, შესრულდება ორმოცი დღე ზესტაფონის რკინის გზის სადგურის უფროსად ნამყოფის

ივანე გრიგოლის ძის გლადკოვის

გარდაცვალებიდან, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **მართა ანდრიას ასული და ძმა განსვენებულისა ნიკოლოზ გრიგოლის ძე გლადკოვი**. დილის 11 საათზე, ნაწირვებს, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი. 675.

სოფ. გარეჯვარში, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ილია სპირიდონის ძე განძიელი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **ქვრივი გაიანე როსტომის ასული განძიელისა, შვილები: კნ. ნატალია ილიას ასული ჯავახიშვილისა** და **კნ. ელენე ილიას ასული საგინაშვილისა**, სიძეები: **თ-დ ალექსანდრე მიხეილის ძე საგინაშვილი** და **გიორგი დიმიტრის ძე ჯავახიშვილი**. დაკრძალვა სოფ. გარეჯვარში, გორის მაზრაში, 6 ამა ოქტომბერს. 1520

დავით დავითის ძე და ნინო გრიგოლის ასული პარკაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ს. დიდ-გარეჯვარში გარდაიცვალა საყვარელი ბიძა

ილია სპირიდონის ძე განძიელი.

დაკრძალვა მოხდება კვირას 6 ოქტომბერს. 1520

კვირას, 6 ოქტომბერს, 1 საათზე, კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე, გადიხდიან პანაშვიდს და აკურთხებენ ძეგლს განსვენებულის

დავით ბესარიონის ძის ლოლობერიძისა.

679

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 5 ოქტომბერს, 1913 წ. გაიმართება

უკანასკნელი დღეები გასტროლისა საქვეყნოდ ცნობილის, ველოსიპედზე შეუდარებელის მოსიარულის, ვირტუოზის **ჩისტერ დიკისა,** რომელიც შეასრულებს იშვიათსა და გონებისათვის იუწდომელ ნომრებს. სანახაობათა-სანახობა! უდიდესი ატრაქციონი!

ხელოვნების უკანასკნელი სიტყვა! ყველაგან ფურორი! სენსაცია! აღტაცება! ტაშისცემა! ოთხ და ექვს საჯდომიან ველოსიპედზე „ტანდემ"-ზე ჯარჯიში. ჩისტერ დიკი საზოგადოებას აღტაცებაში მოიყვანს! დასასრულ ,,საბედისწერო გადახტომა''—სალტო-მორტალი ველოსიპედით, ცირკის თოლში განავარდება დატვირთულ ეტლზე. მოსკოვში აკვარიუმის ბაღში ჩისტერ დიკის გასტროლებს დიდ-ძალი ხალხი ესწრებოდა. დირექცია სთხოვს პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას, რომლის ყურადღება დაიმსახურა, რაც ცირკში მოსიარულე ხალხის რიცხვით აშკარაა, დარწმუნდეს ფენომენალურ ხელოვნების სინამდვილეში! ამ საღამოსვე მონაწილეობს ,,4 ეშმაკი'' და ყველა პირველ-ხარისხოვანი არტისტები. გამოსვლა გამოჩენილი გიმნასტის და მოჯირითე ლამაზი ქალის m-le **ნაცისა** დაწვრილებით აფიშებში, დღეისთვის კონტრამარკები არ გამოდგება. გამოსვლა 4 ეშმაკისა მე-2 განყოფილებაში, რომელიც იწყება 8³/₄ საათზე, ჩესტერ დიკისა მე-3 განყოფილებაში, დასაწყისი 10 საათზე

წარმოდგენა დაიწყება საღ. 7 ნახ. საათზე. დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

ანონსი: კვირას, 6 ოქტომბერს, დღისით გამოვლენ ,,4 ეშმაკი'' ფასი—მოზრდილთათვის 10—40 კ., მოსწავლეთათვის 11—20 კ., ლოჟა 2 მ., გალერ 5 კ. 671

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა გამომცემლობა

ამით აცხადებს, რომ საკვიტანციო წიგნაკები № 72 (კვიტანციები 711—720 და № 157 (კვიტანციები 2701—2725).

დაკარგულია და წიგნის მიღებისათვის არ გამოდგებიან. 1517

,,ახალი კლუბის' მამასახლისთა საბჭო

აუწყებს ბ.ბ. წევრებს, მუდმივ დამსწრეთ და სტუმრებს, რომ

3 ოქტომბრიდან 1913 წელს

კლუბი საზამთრო სადგომში გადავიდა.

1499

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 7—2.

კვირას, 6 ოქტომბერს, ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ **ნ. ჩხეიძის ასულის** მონაწილეობით წარმ. იქნება ორიგინალური პიესა

სიმაზინჯე,

დრამ. 4 მოქ. ნ. შიუკაშვილისა.

II) **უბედური დღე,** ვოდ. ბალანჩივაძისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, პიერეტა, ჩერქეზიშვილი. ჩხეიძე, ჯავახიშვილი. ბ-ნნი. ბარველი, გუნია, ზარდალიშვილი, სარაული, შანშიაშვილი, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყ. საღ 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია

რეჟისორი **გ. შალიკაშვილი.** ადმინისტ. ქართ. დრამატ. საზოგად.

მზადდება წარმოსადგენად: „კულტურული მკვლელობა" „უნიადაგონი", „ზამთრის სიზმარი", „მორევში" და სხ. 1473

ქართული თეატრი

დავით კლდიაშვილის საღამო.

პარასკევს, 11 ოქტომ., ქართულ თეატრში გაიმართება **საინტერესო**

სალიტერატურო საღამო.

I) განყოფილება: **კოტე აბაშიძე** წაიკითხავს ლექციას: **„ილია ჭავჭავაძე და არჩილ ჯორჯაძე".**

II) **დავ. კლდიაშვილი, ჯ. ჯორჯიკია** და **ი. გრიშაშვილი** წაიკითხავენ საკუთარ ნაწარმოებთ.

III) **ალ. ჯანელიძე** წაიკითხავს ლექციას: **„ეროვნული შემოქმედება".**

IV) დასასრულ **ვალ. შალიკაშვილის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება

დარისპანის გასაჭირი,

ვოდ. 1 მ. **დავ. კლდიაშვილისა.**

დასაწყისი საღ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია. 1521

ავლაბრის სახალხო თეატრი

კვირას, 6 ოქტომბერს, 1913 წ. ავლაბრის ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ მსახ. **ი. ივანიძის** და **ჟივიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

მეგობრობა

დრამა 4 მოქ. შიუკაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მარგველაშვილისა, ქურულისა, სააკოვ სა. ბ-ნნი **ი. ივანიძე, ჟივიძე,** თავდგირიძე, სულთანიშვილი, ჯიბლაძე, სალაყაია, ნინოშვილი, ქვლივიძე, მაისურაძე და სხვანი. **ადგილების ფასი 4—50 კაპ.** ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი, მიცკევიჩის ლოტბარობით. ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში 5—9 საათამდე. **დასაწყისი საღ. 8 საათზე**

რეჟისორი **ი. ივანიძე.**

მორიგი გამგე **ვ. თუშმელაშვილი.** 1490

საზამთრო **ახალი კლუბი** **თეატრი**

შაბათს, 5 ოქტომბერს 1913 წ. გაიმართება

საოჯახო საღამო

თეატრ-სინემატოგრაფის სცენაზე „ახალი კლუბის" ორკესტრით. თეატრში შესვლა უფასოა. სტუმრები იხდიან: მამა-კაცი 1 მ., ქალები—50 კ., სტუდენტები—25 კ. გალერეია ხელმისაწდომია. დაწვრილებით პროგრამებში. **დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**

კ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

კვირას, 6 ოქტომბერს 1913 წ. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად სახალხო სცენაზე

წმინდა ანტონის სასწაული

კომ. 2 მოქმ. მ. მეტერლინკისა.

II. **არივ-დარია** მხიარული ვოდევილი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მარგ. გოგოლაშვილის ასული, კახელი, ნარ კიძისა, ელ. ციმაკურიძე. ბ-ნნი: გ ანაშვილი, ა. გუცუშვილი, გომელაური, ალ. მეტრეველი, ვ. ნინიძე, თვალჭრელიძე, ს. კავსაძე, ს. რომანიშვილი, რ. სალაყაია, სტურუა, ლ. სამადაშვილი, ნ. ჭანკვეტაძე, ნ ჭუმბურიძე, ძიმისტარაშვილი და კ. ხახანაშვილი.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ. ჭანკვეტაძე.** ადგილების ფასი 5 კ.—50 კ. **დასაწყისი საღ. 8¹/₂ ს** ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია. შემდეგი წარმოდგენა 6 ოქტომბერს. ,,წრის'' ადმინისტრაცია. 1486

ახალ კლუბთან

არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირიჟორ **ს. ი. პრესმანთან.**

ყოველ დღე დღით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ბათუმის განყოფილების გამგეობა

აცხადებს, რომ ხსენებული საზოგადოების ბათუმის სკოლისათვის საჭიროა მასწავლებელი ქალი. გამგეობა სთხოვს მსურველთ გამოგზავნონ თხოვნა და საბუთები გამგეობის თავმჯდომარეს გ. ლ. ელიავას სახელზე 30 ამ სექტემბრამდის. ჯამაგირი დაენიშნება 600 მანეთი წელიწადში.

თუ გამგეობა დაინახავს საჭიროდ, სავალდებულოა სანიმუშო გაკვეთილების მიცემა. 1514

ესპერანტოს კავკასიის საზოგადოებამ

განაახლა მეცადინეობა, მსურველთა ჩაწერა კვირას, 29 სექტემბერს დღის 1—2 საათზე კავკასიის ექიმთა საზოგადოების სადგომში გეორგიევსკის ქ. (პუშკინის ბიბლიოთეკის ზემოდ) მეცადინეობა კვირაობით დღის 1—2 საათამდე. კურსები იქვე გაიხსნება 6 ოქტომბერს. სწავლის ფასი სულ ერთი მანეთია. 645

აგენტმა

ივანე გრიგოლის ძემ

ხალათიანმა

ავადმყოფობის შემდეგ **განაახლა** განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოცემებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. მიხეილის პრ. № 119, სახლი ფორიერისა. ტელეფონი 697. 1493

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის

გამგეობა

ამით აცხადებს წრის წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 6 ოქტომბერს 1913 წ. დილის 11 საათზე ავლაბრის სახალხო თეატრში დანიშნულია

საგანგებო საზოგადო კრება

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) სარევიზიო კომისიის სამოქმედო ინსტრუქციის შემუშავება და 2) მიმდინარე საქმეები. 1490

ქ-ნი პორტუგალოვისა

აცხადებს, რომ

საფაბრიკო მაღაზიაში, რომელიც ნიკოლოზის ქუჩაზე № 23—24 არის, **ზამთრის სეზონის მოახლოვებისა გამო დანიშნულია**

დიდი ვაჭრობა

მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.

30 პროც. დააკლდება ფაბრიკის ფასს.

ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ **მაღაზიას ყოველ კვირა მოსდის ახალ-ახალი საქონელი რომელიც ძვირად არ იყიდება**

1491 პატივისცემით **ქ-ნი პორტუგალოვისა.**

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ № 20, ტელეფ. 791.

1468

დაიბეჭდა და იყიდება **მაღაროებში მომუშავენი** (ქვა-ნახშირის მთხრელები)

ემილ ზოლას რომანი მუშათა ცხოვრებიდან ი. ა. ავალიშვილის ნათარგმნი.

ტფილისში 1) **ქ. შ. წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში.** 2) ცენტრალურ წიგნის მაღ. გოლოვ. პროსპ, 3) მერკვილაძის მაღაზიაში „ცოდნა", 4) კიკნაძის წიგნ. მაღაზ. გოლ. პრ. ქუთაისში: 5) მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 6) ოცხელის წიგნის მაღაზიაში.

წიგნის ფასი 85 კ. ვინც 5 ცალზე მეტს იყიდის ქ. შ. წ. კ. წიგნის მაღაზიაში დაეთმობა 20 პროცენტი. 1519

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **გ. მეჯრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვ სხივური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.**

ყოველ დღე 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12¹/₂—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარქევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11¹/₂—12¹/₂. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1¹/₂ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12¹/₂—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფიონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12¹/₂—1¹/₂. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1¹/₂—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2¹/₂.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11¹/₂—12¹/₂.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული .ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და ,,914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1035

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5¹/₂ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი ივ. გომართელი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლგას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 159

ქბილის

ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

ექიმი შ. ა. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
ბარიდან ყოველ დღე მოსიარული
ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. გაზაკაძე. ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა „606“-ით 1462

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ი. ზ. გძელიშვილი
სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 სათ. 19 თებერვლის ქ. (როყის ქ.) № 17, ტრამვაის გაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ე. ი. მინასიანცი
იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) პლეკ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathien. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

საბურთალოზე
მშვენიერ ადგილას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1320

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, **ქუთაისის პოლიცია დიდის გაფაციცებით ეძებს ანანოვის მომტაცებლებს. გადააყენეს შირაპის ბოქაული ყიფიანი და დარაჯების უფროსი გელოვანი.** ფიქრობენ, რომ მომტაცებელნი ახალციხეში არიან გადასულნი.

◆ **ხიზნობის საკითხი.** სათათბიროში შეიტანეს კანონ-პროექტები: **ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ხიზნობის მოსპობისა** და ტფილისის ქალაქის პოლიციის ახალი შტატის თაობაზე.

◆ „დენის“ სიტყვით პეტერბურგს ჩავიდა საბლერი და ამ დღეებში სინოდის მახლობელ კრებას აცნობებს, **თუ ვინ დაინიშნა საქართველოს ექსარხოსად.** სატახტო გაზეთების სიტყვით, არც ერთი კანდიდატი საბლერისა არ იქნა დამტკიცებული და უმაღლეს სფერებში გაკვირვება გამოსთქვეს, თუ სიაში რატომ არ იყო შეტანილი სარატოველი იოანე, რომელიც სასურველ კანდიდატად ითვლება.

◆ **მეხილეობის გამოფენა,** რომელიც არტისტიულ საზოგადოების საზაფხულო სადგომში, 1 ოქტომბერს გაიხსნა, თანდათან ივსება ახალის ექსპონანტებით. სხვათა შორის, საყურადღებოა სოფ. შემოქმედიდან (ოზურგეთის მაზრა), გ. დუმბაძის მიერ გამოფენილი ექსპონანტები სამრეწველო თხილისა. გ. დუმბაძეს ოზურგეთის მაზრაში დიდი სანერგე ჰქონია და იქიდან ჩამოუტანია თხილი. გამოფენილია რვა ჯიშის თხილი, მათ შორის საყურადღებოა ტრაპიზონის ჯიშის (ფუნდუკი), რომელიც ადგილობრივ ფასობს—ფუთი 5-დან 7 მანეთამდე და აგრეთვე ადგილობრივი ჯიშები: გულშიშველა, ძუძუა, ბერძნული, ხაჭაპურა, და საფერისცვალებო, რომელიც ფუთი ადგილობრივ ფასობს 2 მან. 50 კ.—4 მანეთამდე. გ. დუმბაძის მიერვე წარმოდგენილია აგრეთვე სხვა და სხვა ჯიშის ხილეულობა, უმეტეს ნაწილად ვაშლი და მსხალი. აგრეთვე ბრინჯის მცენარე, თავ-თავიანი ლობიო და სხვა და სხვა ჯიშის სიმინდი.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე გ. ჩივაძის მიერ წარმოდგენილი მდიდრული კოლლექცია ნამყენი ვაზისა აჯამეთიდან, ქუთაისის მაზრაში.

◆ ქუთაისის **ვიცე-გუბერნატორი მაკაროვი** პირველ ოქტომბრიდან ორის თვით დასასვენებლად დაითხოვეს.

◆ კავკასიის სამხედრო ისტორიულ განყოფილების **უფროსად დაინიშნა პოდპოლკოვნიკი ს. ესაძე.**

◆ ტფილისში ჩრდილო-ამერიკიდან ჩამოვიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის **პროფესორი ვ. კ. სვიმონიშვილი.** სვიმონიშვილმა დაასრულა ტფ. მეორე გიმნაზია. შემდეგ პეტერბურგის ელექტრო-ტეხნიკურს ინსტიტუტში შევიდა, მაგრამ იქიდან ჩრდილოეთ ამერიკაში სამთო განყოფილებაზე გადავიდა, სადაც კურსი საუკეთესოდ დაასრულა და უნივერსიტეტში დასტოვეს. ეხლა ის პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიწვიეს სამთო მეცნიერების განყოფილებაზე. (ზ. რ.)

◆ **პოლიტეხნიკუმი.** საუწყებათაშორისო კომისიის მცირე კომისია ამ დღეებში დაასრულებს თავის მუშაობას და შეგროვილ მასალას წარუდგენს საუწყებათშორისო კომისიას„ რომლის კრებაც მიმდინარე თვის ბოლო რიცხვებში დაინიშნება. მთელი ეს მასალა საბოლოო აზრის გამოსათქმელად მეფის მოადგილეს გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს წარედგინება. ამ დღეებში საბურთალოს მიწა დაწვრილებით დაათვალიერა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნ. ფ. რუდოლფმა.

◆ **საელექტრონო სადგურზე** დიზელების პარალელური მუშაობა უკვე მოაწესრიგეს, ამის გამო ნიკოლაევის ქარხანამ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, ჩაიბაროს სადგური. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გამოსცადოს დიზელები სპეციალისტების შემწეობით. მოწვეულ იქმნებიან: პროფ. არტემიევი კიევიდან, ინჟენერი ნეკრასოვი ბაქოდან და ინჟენერი ოჰანეზოვი (ტფილისიდან).

◆ **ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების** საგანგებო კომისია დღეს აბასთუმანს მიემგზავრება იქ დაწყებულ სამუშაოს შესამოწმებლად.

◆ **უვარგისი თევზი.** წელს ტფილისში დიდძალი უვარგისი თევზი, განსაკუთრებით იზხანი შემოვიდა, რომელსაც ვაჭრები ბლომად ასაღებენ გულუბრყვილო მცხოვრებლებზე. ამის გამო გუშინ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებმა უფროს აგენტის ა. ა. შავერდოვის მეთაურობით მოულოდნელად დაათვალიერეს თევზის დუქნები და დიდძალი უვარგისი თევზი აღმოაჩინეს. თევზი მოსპეს, ხოლო მის პატრონებს ოქმები შეუდგინეს სამართალში მისაცემად. უვარგის თევზის გაყიდვის წინააღმდეგ ღონისძიებათა შესამუშავებლად გუშინ სავაჭრო-სამეურნეო აგენტებს საგანგებო კრება ჰქონდათ და დაადგინეს: დაავალონ სავაჭრო-სნმეურნეო ზედამხედველებს, მუდმივ თვალ-ყური დაიჭირონ ტფილისში შემოტანილ თევზზე რკინის გზის სადგურზედვე და ბაზარში უვარგისის თევზის შემოტანის საშუალება მოუსპონ ვაჭრებს; ამას გარდა ამავ ზედამხედველმა ყოველ დღეს, საღამოს 7 საათზე, თევზის მოტანის დროს, თევზის დუქნებიც უნდა დაათვალიეროს.

◆ **ხმოსნის ი. გ. სულაბერიძის საქმე.** როგორც თავის დროზე ვწერდით, ქალაქის საბჭომ გამოსთქვა სურვილი, ი. გ. სულაბერიძემ ხმოსნობას თავი დაანებოს. ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს ამ დადგენილების გამო კრება ჰქონდა. საკრებულო არ შევიდა იმ გარემოებათა განხილვაში, რომელმაც ეს დადგენილება გამოიწვია, ხოლო მიიღო მხედველობაში ის, რომ ასეთი დადგენილება ხმოსნის დათხოვნას ნიშნავს, რის უფლებაც ქალაქის საბჭოს არა ჰქონდა და ფორმალურ მოსაზრებათა გამო საჭიროდ სცნო ამ დადგენილების გაუქმება.

◆ **ხილისა და ბოსტნეულობის მეორე გამოფენა-ბაზარს** ხალხი დიდის ხალისით ათვალიერებს. დღეს და ხვალ სპეციალისტი ბაგრამოვი მსურველთ აჩვენებს კონსერვების მომზადებისა და ცეცხლწე ხილის გახმობის წესებს. გამოფენაზე აჩვენებენ აგრეთვე კალათების ქსოვას. გამოფენა-ბაზრის კომიტეტმა დაადგინა: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებს გამოფენა-ბაზარი უფასოდ დაათვალიერებინონ.

◆ **ქალაქის სამხედრო საკრებულო.** აგერ ორი დღეა შეუდგა ჯარში გაწვეულთა შემოწმებას, მაგრამ ჯერაც არ დაუსრულებია. შემოწმება კიდევ ორ-სამ დღეს გასტანს.

◆ **ტრამვაის** მოსამსახურეთა და ბელგიის უსახელო საზოგადოების რწმუნებულის ბ-ნ რობის შორის საბოლოო შეთანხმება ჯერაც არ მომხდარა. უმთავრესი უთანხმოება კვლავ ჯამაგირების მომატების საკითხის გარშემო სწარმოებს. როგორც ვწერდით, მოსამსახურენი 10% მომატებას თხოულობენ, ხოლო რობი ჰპირდება 5% მომატებას. რობიმ ისიც განაცხადა, მე არა მაქვს უფლება დამოუკიდებლად 10% მოგიმატოთ და ამის თაობაზე ბელგიაში დეპეშით შევეკითხებით. მუშებს ეს გარემოება, რასაკვირველია, დიდად აკვირვებს: რაღად მოდიოდა ტფილისს, თუ ეს უფლება არა ჰქონდაო. საფიქრებელია, რომ მუშებსა და რობის შორის მოლაპარაკება აგრე ჩქარა არ დასრულდება.

წინამძღვ.-კარის სკოლის იუბილეის გამო

ვულოცავ სამაგალითო მეურნეს გ. ილია წინამძღვარიშვილს 30 წლის უანგარო მოღვაწეობას და ვისურვებ მის ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმთელობას, რათა მის მიერ დაარსებულ სკოლას დაეჭიროს პირველი ადგილი სამეურნეო სკოლისა ჩვენს სამშობლოში, ხოლო მ სთან ერთად ამ საქმის მონაწილეებს განსვენებულ ილია ჭავჭავაძეს და ღენერალ სტაროსელსკის საუკუნო ხსენება და კურთხევა.

ა. დარეჯანაშვილი.

ს. კასპი.

ტფილ. გუბერ. მარშლის თ. კონსტანტინე აფხაზის სიტყვა

29 ენკენისთვეს წარმოთქმული ს. წინამძღვრიანთ-კარში.

საგურამოს საზოგადოებავ! ორიოდე სიტყვით მინდა მოგმართოთ ამ ბედნიერ დღეს. დედამიწის ზურგი ქვეყნიერობაზე მხოლოდ ერთად-ერთია. რაც ღმერთს გაუჩენია, არც პატარავდება, მაგრამ არც იზრდება! დაუთვალავი საუკუნოებია, რაც ხალხი დედა-მიწას ჭიანჭველასავით გარს შემოეხვია; ცხოვრობს და მრავლდება. ერთი თუ კვდება, ხუთი იბადება; მრავლდება ისე, რომ მალე ტევა აღარ იქნება მიწა კი არ იჭიმება, განზე არ იწევს. და აი სწორედ ამ მოვლენას უნდა გაუწიოთ ანგარიში; აი სწორედ ამ ცხოვრების მხარეს უნდა ციხესავით გამაგრება.

თუ აქამდის პატარა ნაჭერი მიწისა ერთ ოჯახს ინახავდა, ამას იქით ორი და სამი ოჯახი უნდა შეინახოს. მეორე მხრივ, ისე მედგრად უნდა მოიკიდოთ თქვენი ფეხი მიწა-წყალს, რომ ვერავინ შესძლოს თქვენი წალეკა. ჩვენი თავი, ჩვენი სახელი, ჩვენი მამული ჩვენვე უნდა შევინახოთ.

ეხლა ვიკითხოთ, რა საშუალებით დავიცვათ?

მხოლოდ სწავლით, ცოდნით და დაუღალავი შრომით.

საიდან შევიძინოთ ეს ყოველი განძი? აი, სკოლიდან! ახლანდელ დროში ვერც ღონით, ვერც ავკაცობით ვერას გახდება კაცი ცხოვრებაში. მორევნა და ჯობნობა ეხლა დამყარებულია ცოდნაზე და სწავლაზე.

თქვენი მეზობელი, შორიდან მოსული თუ თქვენზე უკეთესად ხნავს სთესავს, მკის, ან ვენახის ხელი და საქონლის მოვლა იცის,—იცოდეთ ბოლოს გაჯობებთ თავის ცოდნით და გამრჯელობით, ამოგიდგებათ გვერდში და მიწას ისე მოულოდნელად გამოგაცლით ფეხქვეშ, რომ პირი დარჩებათ. ერთ თაობას ჯერ თავის მუშათ გახდის, და მერე თქვენი შვილიშვილები გაიდევნებიან მამა-პაპის მიწა-წყლიდან და ამოიკვეთება თქვენი სახსენებელი! ასეთია ულმობელი ცხოვრების წესი!

ვისაც ცოდნა აქვს, შრომის უნარი, ვისაც ხელიდან მეტი გამოუვა, სწორედ ის დარჩება სამუდამო პატრონი თავის თავისა, და თავის მიწისა. აი სწორედ ამ ბრძოლის იარაღითა ჰრთავს სკოლა თავის შეგირდებს!

ცოდნით და გამრჯელობით გაუმკლავდებით სეტყვასაც, გვალვასაც, მოუსავლობასაც! გაგეგონებათ ის კაცია საქმე, რომელიც ყოველდღე თავის თავსა ჰკითხავს: „აბა მე დღეს ან ჩემ თავს, ან ჩემ ოჯახს, ან ჩემ სოფელ რა ვარგეო“. და თუ ამ კითხვაზე პასუხი არ მიე, იცოდე რომ შენი საქმე უკან გაბრუნებულია! ზოგი იტყვის: სიღარიბემ შეგვჭამაო, თავი ვერ გაგვიტანიაო, სკოლამდის ფეხი ვერ მიგვიწვდენიაო! სიღარიბე საშიში არ არის, თუ კაცი გულს არ გაიტეხს და ცოდნით შეებრძოლება.

მთიულეთში ერთი თქმულებაა სიღარიბეზე—ერთი ცხვარი შევიდა ერთ გლეხკაცის სახლში და კარების წინ სიღარიბე ეტუზა. ცხვარმა ამოუტია, სახლში შევიდა და სიღარიბეს უთხრა: „ამ სახლში მე უნდა დავდგეო“. სიღარიბემ უპასუხა: „ნახევარი შენ დაიჭი და ნახევარში მე დამაყენეო!“

„არაო“—უთხრა ცხვარმა,—„სულ მე მინდაო“.

„ერთი კუნჭული მაინც მომეცი იქ მივეგდებიო“-სთხოვა სიღარიბემ.

„არა ოთხივე კუთხე მე მინდაო“. უპასუხა ცხვარმა.

რად გინდაო? და აი რადაო: „ერთში მე დავდგები, მეორეში ბატკანს დავაყენებ, მესამეში ყველს დავაწყობ, და მეოთხეში მატყლს შევინახავო“.

გაიქცია თავი სიღარიბემ და მოშორდა იმ გლეხის სახლს სამუდამოდ.

თურმე ერთი ცხვრის სინაბარაც კაცი ღარიბი არა ყოფილა, თუ ცოდნა და შრომა თან დაჰყოლია! უცოდინარობამ, უსწავლელობამ ერთი უდიერი ცოდვა დაატრიალა ამ ექვსის წლის წინად ამ თქვენ საზოგადოებაში. უპირველესი, უწარჩინებულესი საქართველოს შვილი მხეცის მსგავსმა ადამიანებმა მოჰკლეს. ნადირმა, რომ ტყეში კაცი გააფუჭოს—ნათესავები, ცოლ-შვილი, სოფელი ბევრს იცემს თავში, მაგრამ ნადირს რა მოეკითხება! ამისთანა მოვლენასაც მოვიშორებთ, თუ სკოლას მივყვებით, ყოველი სიკეთე, ცოდნა, სწავლა, პატიოსნება, შრომის სიყვარული სკოლიდან ითესება.

ინდივიდუალური და სოციალური

ელემენტები პედაგოგიკაში.

კულტურულ ხალხისათვის საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ აღზრდა-განათლება ერთი უდიდესი ფაქტორია ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის დასამყარებლად. ხოლო ძველთაგან მოკიდებული მას სხვა და სხვა ღირებულებას და მნიშვნელობას აძლევდნენ ესა თუ ის კერძო პირნი, საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწენი და დაწესებულებანი. ჩემს მიზანს არ შეადგენს აქ საერთოდ პედაგოგიურ თეორიათა ისტორიის განხილვა, ამიტომ შევეხები იმ უმთავრეს მომენტებს მხოლოდ, რომელთაც ახლო დამოკიდებულება აქვთ ჩემს თემასთან და, ასე თუ ისე, ახასიათებენ მას.

ძველი დროიდან დაწყებული თითქმის ყველა, ცოტად თუ ბევრად, განათლებულ ერს უმთავრესად ორგვარი სისტემა ჰქონდა შემოღებული აღზრდა-განვითარების საქმეში. ერთი იმყოფებოდა ოჯახის ზეგავლენის ქვეშ და მეორე—სახელმწიფოსი. უძველეს კულტურის პირველ საფეხურზე ოჯახი წარმოადგენდა მარტივს, ძირითად საზოგადოებრივ ინსტიტუტს და ამიტომ პატრიარქალური ოჯახივე იყო ერთად-ერთი აღმზრდელი დაწესებულებაც. შემდეგ ოჯახი იწყებს მკვიდრს არსებობას, რისთვისაც იგი იჩენს მუდმივ საცხოვრებელ-სამყოფელ ალაგს. ამ დროს სასაზოგადოებრივი ორგანიზაცია ფუძდება ტერიტორიალურს დამოკიდებულებასა და მიწად-მოქმედებაზე. ამნაირად ეს უკანასკნელი სცვლის ნათესაობრივი კავშირის პრინციპს და ოჯახურ დამოკიდებულებათ და თითონ იჭერს მათს ადგილს. ნაცვლად ადრინდელი გენეტიური ხასიათისა, საზოგადოება ღებულობს პოლიტიკურ სახეს. და თუ აქამდე აღზრდის საქმეში ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ აწმყოს ინტერესებით, თუ ამასთანავე ზრუნავდნენ მხოლოდ იმაზე, რაც თითოეული პიროვნებისათვის იყო დღეს საჭირო; ამის შემდეგ საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი თანდათან იზრდებიან და აღზრდა განათლებასაც ფართო საზოგადოებრივი ხასიათი და მნიშვნელობა ეძლევა. ცდილობენ შეისწავლონ წარსული და ნათლად გაითვალისწინონ მომავალიც საერთო ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად და რწმენის მოთხოვნილებათა თანახმად.

გაცილებით უფრო რთულ სოციალურს ერთეულს, ოჯახის შემდეგ წარმოადგენს, რასაკვირველია, სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია.

უმეტეს შემთხვევაში პირველყოფილი სახელმწიფო ერთი რომელიმე განკერძოებული ერისაგან შესდგებოდა და ამიტომ მაშინდელი აღზრდა-განათლების სისტემაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივს ანუ ნაციონალურ-პოლიტიკურ ინტერესებთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. მართალია, ხშირად ამა თუ იმ სახელმწიფოში შედიოდნენ ადრეც, როგორც ეხლა, სხვა ეროვნებანიც, მაგრამ როგორც დაპყრობილ-დამორჩილებულნი, ისინი არ ითვლებოდნენ არა თუ სწორუფლებიან ერებად, არამედ, პირიქით, დრტვინავდნენ მონობის სასტიკ უღელ ქვეშ და ყოველგვარ ადამიანურ უფლებასაც მოკლებულნი იყვნენ. ასეთს პირობებში, რასაკვირველია, მათ აღზრდა-განათლებაზე ფიქრი და ლაპარაკიც კი უადგილო იქნებოდა. ამ სოციალური ერთსულობის—სახელმწიფოს—წარმოშობის დროს აღზრდა უმთავრეს ყურადღებას აქცევდა იმას, თუ როგორ ესწავლებინა მისთვის საზოგადოებისათვის თავდადებული ცხოვრება. მხოლოდ ძველ ბერძნებს, და უფრო კი ებრაელებს, დაებადათ პირველად აზრი ისეთი ინდივიდუალური განვითარების შესახებ, რომელიც წინააღმდეგობას არ გაუწევდა საზოგადოებრივ წეს-წყობილებას და არც გადაეღობებოდა მისი კეთილდღეობის თავისუფალ განვითარებას. ძველს ბერძნულს აღზრდის სისტემაში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ინდივიდს, კერძო პიროვნების განვითარებას. ამათ კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ „პროგრესი შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც პიროვნების, ინდივიდის თავისუფალ განვითარებას არა თუ არ სდევნიან, არ ავიწროებენ, არამედ, პირიქით, ამხნევებენ და აძლიერებენ, როგორც სასარგებლო მოვლენას*). საბერძნეთში ჩვენ ვპოვებთ აღზრდის ისეთს ნიმუშს, სადაც პიროვნებას არ ავიწროვებენ არც ნებსით და არც უნებლიედ, არც განგებ, შეგნებით და არც შეუგნებლად. ძველ ბერძნებს ისიც გათვალისწინებული ჰქონდათ, რომ სხვადასხვა ცვლილებათა წინააღმდეგ გალაშქრება ნათლად ამოწმებს საზოგადოების ჩამორჩენასო. რაც უფრო ნაკლებ განვითარებულია ხალხი, მით უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევს იგი ცხოვრებაში გატარებულ ცვლილებებსაო, ამბობს ჰერბერტ სპენსერი. ასევე სჯიდნენ ძველი ბერძნებიც. ამნაირად, ბერძნებმა უზრუნველჰყვეს მსჯელობისა და ინიციატივის ისეთი თავისუფლება, რომელიც ხელს უწყობდა პროგრესიულ განვითარებას საზოგადოებრივი წესწყობილების ფარგლებში. ეს არის პრობლემა სოციალური ცხოვრებისა ანუ მოქალაქეობრივი საზოგადოებრივობასა და, მაშასადამე, პრობლემა თვით აღზრდისაც.

მართალია, ამ საკითხის გადაჭრის დროს ძველი ბერძნები ხშირად ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდნენ: ჯერ აბსოლუტიზმისა ანუ სოციალიზმისაკენ იხრებოდნენ, მერე—ინდივიდუალიზმისაკენ, მაგრამ იგი, არა თუ მაშინ, დღესაც არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. ძველ საბერძნეთში ისე იყო დაყენებული აღზრდის წესი, რომ თითოეული მოქალაქის გულში უნდა ჩაენერგათ სურვილი მოქმედებისა. საზოგადო სარგებლობისათვის. ყოველი მოქმედება უნდა ყოფილიყო სოციალური, თავის მიზნის მიხედვით, ხოლო ფსიხოლოგიურად, მოტივებისა და მსჯელობის მხრივ, იგი განისაზღვრებოდა ინდივიდუუმით, აღიძრებოდა თითოეულს ადამიანში. აღზრდის წყალობით პიროვნება უნდა გამხდარიყო ნამდვილი მონა-მორჩილი სამშობლოის კანონებისა, უნდა ყოფილიყო თავ-განწირული დამცველი სახელმწიფოსა და სამაგალითო აღმასრულებელი მოქალაქის მოვალეობათა.

ბრძენი პლატონ ნათლად ჰხედავდა არსებულ უთანხმოებას კერძო პიროვნებისა და საზოგადოების კეთილ-მდგომარეობის შორის. ამიტომ ამ ორი მოპირდაპირე ინტერესის მოსარიგებლად მან აღზრდის შემდეგი იდეალი შეიმუშავა: უზრუნველყოფა თავისუფალ ადამიანთა განვითარებისა, ცხოვრებისა და მოქმედების შესაფერ სფეროში, თანახმად მათი. ბუნებრივი ნიჭისა. აქ ადამიანი არავითარი სარგებლობის პრინციპს არ ემორჩილება, პირ-იქით, იგი სარგებლობს მთელი მისა ბუნებრივი ძალ-ღონით მოყვასთა სასარგებლოდ და ამავე დროს საკუთარ პიროვნების გამოსააშკარავებლად, მის მთლიანობის დასაცავად. შეგნებულად ამაში გამოიხატა პირველად ბერძნული პედაგოგიური იდეალი და ამით გამოითქვა იდეა თავისუფალი აღზრდისა.

მართალია, საბერძნეთში პიროვნებას, ინდივიდუალურ განვითარებას დიდი ადგილი და ყურადღება ჰქონდა დათმობილი, მაგრამ არისტოტელი ისეთს აღზრდა-განათლებას ჰქადაგებს, რომელსაც უპირველესად სახელმწიფოს კეთილ-მდგომარეობა ჰქონდა სახეში. „მართვა-გამგეობასთან შეგუებული და შეთანხმებული აღზრდა საუკეთესოდ უწყობს ხელსა სახელმწიფოს წეს-წყობილების განმტკიცებასაო“, ამბობს იგი. არისტოტელის აზრით, აღზრდის მიზანია უმაღლესი ნეტარება, ისე, როგორც პოლიტიკის მიზანია უმაღლესი ნეტარება. მაშასადამე, აღზრდა და პოლიტიკა თანასწორი ღირებულების ფაქტორი ყოფილა ადამიანის ცხოვრებაში. და აი, სწორედ ამით აიხსნება, რომ პოლიტიკა უმაღლეს ხელოვნებად იყო მიჩნეული ბერძენთა ფილოსოფოსების მიერ. თანახმად ასეთი შეხედულებისა, აღზრდა-განათლების საქმეც სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულების ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდა. ამიტომაც იყო სახელმწიფო მისი პირდაპირი ბატონ-პატრონი, სასტიკი მეთვალყურე და გულწრფელი მზრუნველიც. შვიდ წლამდი ბავშვები ოჯახში იზრდებოდნენ მშობლებისა-და, უფრო კი, მონების ხელში, ხოლო ამ დროიდან ისინი სახელმწიფოს სრულს განკარგულებაში გადადიოდნენ, სადაც მათ სწრთვნიდნენ წინად-დასახული მიზნის მიხედვით. ამავე მიზნით თითოეული ოჯახიც კი სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

სულ სხვანაირად უყურებდა ძველი რომი ინდივიდუალურსა და სოციალურ საკითხს აღზრდა-განათლების საქმეში. თავისუფალი რომაელი მხოლოდ მოქალაქის უფლება-მოვალეობით არ ყოფილა შეზღუდული, როგორც მისი მეზობელი ბერძენი. იგი თანაბრად სარგებლობდა როგორც მოქალაქეს, ისე მამის უფლება-მოვალეობითაც; იგი სწორ-უფლებიანი წევრი იყო ოჯახისაც და სახელმწიფოსიც. საბერძნეთში პლატონის საალმზრდელო სისტემაც კი არ აძლევდა ოჯახს ნებას, თავის გავლენის ქვეშ ჰყოლოდა მოზარდი ახალგაზრდობა; რომში კი ყოველთვის ოჯახური აღზრდით ამაყობდნენ. იქ ვაჟის აღზრდა მხოლოდ მამას ეკუთვნოდა, ეს საქმე მას ჰქონდა დაკისრებული. აი, მაგალითად, როგორ აფასებს პოეტი ჰორაციო (ქრისტეს წინ პირველ საუკუნეში) ოჯახურ აღზრდას: თუ ჩემი სიცოცხლე წმინდა და უვნებელია, თუ მე დაჯილდოვებული ვარ მეგობრების სიყვარულით, ეს მხოლოდ მამიჩემის წყალობააო, ამბობს იგი. პოეტი ემადლიერება თავის „ჭკუიან მამას“, რომელმაც არ მიაბარა იგი აღმზრდელებს და არ მისცა საზოგადო სასწავლებელში (ეს წესი რომაელებმა საბერძნეთის ძლიერი გავლენის შემდეგ შემოიღეს). სამაგიეროდ, მამამ იგი წაიყვანა რომს, სადაც ბავშობიდანვე შეასწავლა შვილს თავისუფალი ხელოვნება და თვითონაც ესწრებოდა ყოველთვის და თვალყურს ადევნებდა მის მეცადინეობას. დიდი იყო აგრეთვე მამის პასუხისმგებლობაც შვილის ცუდი ზნეობისათვის, რომელიც მამის დანაშაულად უფრო ითვლებოდა. რომაელი ქალიც მეტი უფლებით სარგებლობდა შედარებით. იგი ნამდვილი ამხანაგი იყო ქმრისა და სწორუფლებიანი მოზიარე ოჯახის მართვა-გამგეობაში, ამიტომ დედასაც დიდი გავლენა ჰქონდა შვილზე. რომაელებს არ ჰქონდათ გარკვეული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორი კავშირი და დამოკიდებულება არსებობს სასკოლო აღზრდასა და სახელმწიფოს საზოგადო კეთილმდგომარეობის შორის; ისინი ვერ ჰხედავდნენ მჭიდრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ ვადღეგრძელოთ ამ თქვენი სკოლის დამაარსებელი ბატონი ილია წინამძღვარიშვილი!

ბატონო ილიავ, ვისურვებ თქვენთვის დღეგრძელობას; დასტკბით საქმითა თქვენითა მრავალჟამიერ! ღმერთმა ჰქმნას, რომ აი ამ წრიდანაც (გლეხებზე მიუთითა) მალე ვეღირსოთ გამოვიდნენ თქვენგვარი უანგარო მამულისშვილნი! ვადღეგრძელოთ მასწავლებელნი და შეგირდნი.

ყმაწვილებო! თვენ სკოლას ბევრი ნაკლულევანება აქვს უფულობისა და უსახსრობის გამო; რითი უნდა შეივსოს ეს ნაკლი? მხოლოდ თქვენი შრომის გაორკეცებით. არწივის კლანჭი უნდა ჩაურჭოთ თქვენ საქმეს და ისე ზიდოთ მრავალჟამიერ თვენი პატიოსანი შრომა.

მოგმართავთ თვენ, ხალხო, და გისურვებთ გამარჯვებას თვენ მძიმე ცხოვრებაში!

გახსოვდეთ, რომ თქვენით არა თავდება სამშობლოს ბედ-იღბალი. ეს მიწა, ოფლით მორწყული უნდა გადასცეთ თვენს შთამომავლობას! თქვენ შვილებს შესძინოთ ცოდნა, ღრმად ჩაუნერგოთ მამულისა და თანამოძმის სიყვარული, და გულის ფიცარზე ამოუჭრათ. „შრომა“ შრომა, და კიდევ შრომა!“

ლექცია ქიათურაში

30 სექტემბერს ბ. გიორგი ძეფარიშვილმა ლექცია წაიკითხა „სიცოცხლის ღირებულებაზე“.

ლექცია ორ ნაწილად გაჰყო ლექტორმა; პირველ ნაწილში მან ერთმანერთს დაუპირდაპირა პესიმიზმი და ოპტიმიზმი, მეორე ნაწილში შეეცადა თვითმკვლელობის მიზეზების ახსნას, საკმაოდ ვრცლად განმარტა ვეგეტარიანული მოძღვრების უმთავრესი დებულებანი და მისი დამოკიდებულება თვითმკვლელობასთან და ბოლოს დაასკვნა, რომ ადამიანმა უნდა იცხოვროს, რომ ჭეშმარიტი მეცნიერება მას სიცოცხლისაკენ უნდა იწვევდეს.

ლექტორი დიდ ხანს შეჩერდა პესიმიზმზე, მან საკმაოდ გადაუშალა საზოგადოებას შოპენჰაუერისა და გარტმანის პესიმისტური მოძღვრება. ამათის ფიქრით, რომელი მხარეც არ უნდა ავიღოთ ცხოვრებისა და განვიხილოთ, ყოველთვის და ყოველგან უარყოფამდე მივალთ. ადამიანს მუდამ თანა სდევს პრაქტიკული ტანჯვა; თვით სიყვარული, ეს უმაღლესი და უდიდესი გრძნობა, ვერ არის ტანჯვისაგან თავისუფალი. მეცნიერების განვითარებაც ვერას შველის ადამიანს. ავადმყოფობათა გამრავლება წინ უსწრებს მეცნიერების განვითარებას. საავადმყოფოები, ბრძოლის ველები და სასამართლოები ადამიანის ტანჯვის საუკეთესო მაჩვენებელნი არიან. მხოლოდ მეცნიერი, კვლევა-ძიებით გატაცებული ვერ გრძნობს ტანჯვას, მაგრამ ისეთი პირები, რომლებსაც ასეთი მუშაობა შეუძლიათ, ძლიერ მცირე რიცხოვანნი არიან.

შეუძლებელია შექმნა ისეთი ქვეყნისა, რომ ტანჯვა არ აღემატებოდეს ბედნიერებას.

კაცობრიობა ფიზიკურად სუსტდება, სნეულდება.

ყველაზე უფრო გავრცელებული ავადმყოფობა ნევრასტენია არის. კაცობრიობას ნევრასტენიით გადაშენება მოელის.

ბოლოს და ბოლოს ჩვენი ხვედრია, უგრძნობლობა, ნირვანი, გადასვლა ყოფნიდან არყოფნაში.

შემდეგ ლექტორი გადავიდა ოპტიმისტზე და განაცხადა, რომ ოპტიმიზმის დასაცავად ზოგიერთებს მეტაფიზიური და ავტორიტარული მოსაზრებანი მოჰყავთ, მაგრამ ეს მოსაზრებანი დღეს ვერავის ვერ დააკმაყოფილებსო.

ლექტორმა აღიარა: რომ „ოპტიმიზმის შესახებ ვერ შევძლებ იმის ერთი მესხედი დებულებანი მოვიყვანო, რაც პესიმიზმის შესახებ მოვიყვანეო. ოპტიმიზმი აქსიომაა ისე, როგორც ორჯერ ორი ოთხია და არ შეიძლება მისი მტკიცებაო. სიმართლე ადვილად გასაგებია და მოკლედ ითქმის. კაცობრიობა რომ ყოფიდან მართლა არ ყოფაში მიექანებოდეს, მაშინ ის უნდა მოსპობილიყო სიცოცხლის რეაქციით. სიცოცხლე თავის-თავად სასიამოვნოა და პრინციპიალურადაც აუცილებელი, მხოლოდ ჩვენ გვაჯავრებენ შემთხვევითი პირობები.

შემთხვევითი პირობები გვხვდებიან ჩვენ ევოლიუციაში და ფილოსოფიურ ძიებაში. ტოლსტოიმ წინააღმდეგობათა ძლიერი განცდა გამოიარა. ნიცშე-ზარატუსტრას აზრით, წინააღმდეგობაა განცდა, პირიქით, იძლევა შინაარსს სიცოცხლისას. მიზანს კაცობრიობა ვერ მიაღწევს. ჩვენ რამდენსაც გავიგებთ, იმდენად სხვა გაუგებარი რამ მოგვემატება.

ადამიანი არ უნდა დაშორდეს ბუნებას; მისთვის საჭიროა ფიზიკური შრომა, ის უნდა დაუბრუნდეს ბუნების წიაღს, მის სუფთა ჰაერს, მწვანე ბალახს.

შემდეგ ლექტორი შეეხო თვითმკვლელობას და განაცხადა, რომ ზოგიერთს თვითმკვლელობაში საზოგადოებას მიუძღვის ბრალი, ის თვითმკვლელის მიმართ სრულს გულციობას იჩენს და არ ეხმარება მას ცხოვრების მოწყობაშიო. საზოგადოდ ლექტორმა თვითმკვლელობის მიზეზად ცხოვრების უვიცობა და შეუგნებლობა დაასახელა.

ჩვენ არ ვაფასებთ ცხოველების ცხოვრებას, ჩვენ შევეჩვიეთ მათი სისხლის ღვრას და ამიტომ ვეღარ ვაფასებთ ჩვენს საკუთარ სიცოცხლესო. ის დიდხანს შეჩერდა ვეგეტარიონულ ფილოსოფიაზე. უნდა აღვიაროთ, რომ საკმაოდ მძლავრი არგუმენტები მოიყვანა მის დასაცავად.

ვერ დავეთანხმებით ლექტორს იმაში, რომ ცხოველების ტანჯვა კლინიკებში უნდა მოისპოს, ეს მეცნიერული ფანატიზმი არისო.

დასასრულ ლექტორმა კვლავ განიმეორა ოპტიმიზმის უმთავრესი დებულებანი და მოუწოდა მსმენელთ სიცოცხლისა და სალი—ჭეშმარიტი მეცნიერებისაკენ.

დავით ბ—ეიანი.

როგორ მოჰკლეს ზელიმ-ხანი

პორუჩიკი კიბიროვი ასე გადმოგვცემს ზელიმხანის მოკვლის ამბავს:

ორი ან სამი თვის წინად, როცა ზელიმხანზე ლაპარაკი მისწყდა, პოლკოვნიკმა მარლანიამ თერგის ოლქის უფროსის ნებართვით ზელიმხანის დაჭერის საქმის მოწყობა მიანდო პორუჩიკს კიბიროვს. მინდობილების შინაარსი არვინ იცოდა, ყველაფერს მალულად ინახავდნენ. მახლობელმა პირებმაც არ იცოდნენ ეს ამბავი, კიბიროვს დიდი უფლებები მიენიჭა: მიზეზის აუხსნელად ჯარის გამოყვანა და სადაც სურდა გაგზავნა. კიბიროვი დაბინავდა სოფელ შალში ვედენის ოლქში. კიბიროვს ადგილობრივ მცხოვრებთაგან ბევრი აგენტი ჰყავდა, მაგრამ ყველაზე სანდო ცნობებს ერთი იძლეოდა (არა ჩაჩანი). კიბიროვი გარეგნულად არ უჯეროდა აგენტებს. თუ მართალს ამბობთ, პირისპირ შემყარეთ ზელიმხანსაო. აი ტყეში ერთმანეთს შეხვდნენ გადაცმული კიბიროვი აგენტის თანხლებით და ზელიმხანი ოთხი უიარაღო ჩაჩანის თანხლებით. საუბრის დროს ზელიმხანი ამბობდა, ეხლა მე არავინ მყავს თან. მარტო ვარ. კიბიროვმა დაათვალიერა ზელიმხანის ვინტოვკა და დაიმახსოვრა ნომერი—22,875. საუბრის შემდეგ ჩაჩანმა გამოიყვანა კიბიროვი სხვა გზით. კიბიროვმა აგენტს არ დაუჯერა, რომ ზელიმხანი ენახოთ და მოსთხოვა გაეგოთ ვინტოვკის ნომერი. აგენტმა შეასრულა მოთხოვნილება და ცნობები ერთმანეთს მიუდგა. აგენტმა აცნობა პორუჩიკს, ზელიმხანი სოფელ შალში იქნებაო. შემდეგ აგენტი აცნობებს ზელიმხანი აღარ მოდის, რადგან ცუდი სიზმარი უნახავსო. ორისამი დღით ადრე აგენტმა შეატყობინა კიბიროვს—ვიცი სად იქნება ზელიმხანი, ხოლო შემდეგისთვის პასუხს ვერ ვაგებო და რაზმის დამზადება ურჩია კიბიროვს. აგენტის სიტყვით, შალში უნდა მოსულიყო ზელიმხანი.

50 ცხენოსანი პრაპორჩიკ აბდულაევის ხელმძღვანელობით კიბიროვმა სოფელ გერმენჩიკში გაგზავნა, რომელიც სოფელ შალის ახლოს მდებარეობს. აგენტი საჭიროდ სცნობდა, ხუთი სახლისთვის ალყა შემოერტყათ. რადგან რაზმი მცირერიცხოვანი იყო, აგენტი საქმის სხვა დროსთვის გადადებას მოითხოვდა. დღისით კიბიროვი შეეცადა შალის „ხუტორების“ მდებარეობა გაეცნო. ეს „ხუტორები“ სოფელ შალისგან 7 ვერსის მანძილზე მდებარეობს. სულ ორი სახლია, ერთს სახლში ამ ჟამად მოხუცი ჩაჩანი და მისი ცოლი სცხოვრობს. მეორე სახლი კი ცარიელია.

ორს სექტემბერს კიბიროვი სოფელ სერჟენიურტიდან სოფელ გერმენჩიკს გაემგზავრა, სადაც მას მოელოდა აბდულაევი თავისი რაზმით, რომელმაც არც კი იცოდა, თუ საქმე რაში იყო. კიბიროვმა აუხსნა რაზმს ყველაფერი, ხოლო ადგილი კი არ დაასახელა; რაზმი ფრთხილად, ფეხით უნდა წასულიყო. რაზმს ჩამოერთვა ყველაფერი, რასაც ხმაურობის გამოწვევა შეეძლო: თამბაქო, წუმწუმა და სხვა. ბინდისას რაზმი შალს გაემგზავრა. შალში რაზმს გააცნეს თავდასხმის გეგმა, დაატუსაღებინა მამასახლისს ერთი სოფლელი, რომელიც „ხუტორ“-საკენ მიდიოდა. დატუსაღებული ნაცვლების თანხლებით გაგზავნეს სოფელში. ღამით კიბიროვი 50 კაცით გაემგზავრა „ხუტორისაკენ“ ოთხი ვერსზე სოფლიდან შეუერთდა აბდულაევი თავის რაზმით—50 კაცით და აგენტი, რომელმაც შეატყობინა—ზელიმ-ხანი „ხუტორ“-ში არისო. ორი ვერსი-და იყო სოფლამდინ. აბდულაევი თავისი რაზმით გამოეყო და მთაში გაემგზავრა, რათა ხელი შეეშალა ზურგით გაქცევისთვის, კიბიროვი პირდაპირ მიდიოდა. რაზმს ებრძანა, არ ესროლათ, ვიდრე საამისო ბრძანება არ იქნებოდა. რაზმი ნაწილებად დაჰყო; თითო ნაწილში ოცოცი კაცი შედიოდა. ამასთან რაზმები ერთმანეთს უნდა მიშველებოდნენ. კიბიროვმა წინ კაცები გაგზავნა და თვითონ გაემართა სოფლში. როცა სახლს მიუახლოვდნენ, ძაღლებმა ყეფა დაიწყეს და ხმა მოისმა: „ვინ არის“-ო. რაზმი მიუახლოვდა სახლს და კარები დაჰკეტა. ცხენოსნები მიწას გაერთხნენ.

კიბიროვმა სახლთან მოხრილი კაცი დაინახა და რაკი სახლის პატრონი ეგონა, დაუყვირა ჩაჩნურად: „მოხუცო, აქ მოდი“! გავარდა ვინტოვკა და კიბიროვი დაიჭრა მარჯვენა მხარში და ძვალი გადაემტვრა. ხელი ჩამოვარდა. ზელიმხანი ისროდა. კიბიროვი დაეცა, მაგრამ მერე წამოდგა და მარცხენა ხელით „ნაგანი“-დან ოთხჯერ გაისროლა. კიბიროვის მარჯვნით იდგა იუნკერი ზაქარაია, რომელმაც ესროლა ზელიმხანს. ზელიმხანი დაეცა, ფირცხლავ წამოდგა და სახლში შევარდა, თან ისროდა.

სროლა შესწყდა.

ამ დროს სროლის ხმაზე აბდულაევიც მოეშველა. მთელი ადგილი შემოკრეს. სახლიდან გმინვა მოისმა, რომელიც უფრო ქალის ხმას გავდა. კიბიროვს ექვი დაებადა, ალბად დიასახლისი დავსჭერითო. ამის შემდეგ სახლიდან გინება და ლანძღვა ისმოდა.

სროლა 11 საათს დაიწყო. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ გამოჩნდა ზელიმხანი, ჯერ „ბრაუნინგიდან“ ისროდა და შემდეგ თოფიდან, ალბად რაზმის გარღვევა სურდა, მაგრამ რაზმი სროლით შეხვდა და ზელიმხანი კვლავ სახლში შევარდა. სროლა კვლავ შესწყდა და სამ საათს სიჩუმე სუფევდა. დაჭრილი კიბიროვი რაზმს ხელმძღვანელობდა. განთიადზე ზელიმ-ხანმა ითხოვა, ნამაზის შესრულების ნება მომეცითო და თან სურას აშვერდა წყლისთვის. ტყვიებმა სურა დაამსხვრიეს. გაისმა საზარელი გმინვა და გინება რუსულსა და ავარულს ენაზე. ხან გამოშვებით სროლამ დილის 5—5½ საათამდე გასტანა. მძიმედ დაჭრილი ზელიმხანი გარედ გამოვარდა, თან ბრაუნინგიდან და ვინტოვკიდან ისროდა. რაზმმა სროლით უპასუხა. ზელიმხანს ორი „პატრონტაში“ ეკრა. ერთი მხარზე და მეორე—წელზე. ტყვიები „პატრონტაშებს“ რომ ხვდებოდნენ, სკდებოდა.

ერთი გასროლა და ზელიმ-ხანი პირუკუღმა დაეცა და უკანასკნელად გაისროლა ბრაუნინგიდან. და ამ უკანასკნელი ტყვიით დასჭრა იუნკერი ზაქარაია.

ზელიმ-ხანი 40—45 წლის კაცია მეტად ახოვანი, თმა და წვერი შეღებილი აქვს. მას უპოვეს ვინტოვკა, 150 პატრონა, ბრაუნინგი და მოოქროვებული ვერცხლის ხანჯალი. რევოლვერს ასო „ჩ“ აწერია (ალბად ჩეკალინი). ჯიბეში ბინოკლი და ჭრილობის შესახვევი მასალები აღმოაჩნდა.

(დასასრული იქნება)

მოწერილი ამბები

ხვარბეთი (გურია). აგერ რამდენიმე დღეა ზედი-ზედ იმართება ყრილობა. სასჯა-ბაასო საგანს შეადგენს ამ წინად ჩემ მიერ მოწვდილ ამბის, ქურდების გასამართლება. ხალხის ცდენასა და შრომას ქურდების საწინააღმდეგო ბრძოლაში ანგარიში არა აქვს. რამდენიმე თვეა საზოგადოების კომისია ცდილობს ქურდების გამოძებნას და ამ კომისიის შრომა დაგვირგვინდა სრული ზნეობრივი გამარჯვებით: 15 სექტემბერს, საზოგადო ყრილობაზე, ყველა ის პირი, რომელნიც დასახელებულ იქნა კომისიისაგან ქურდად, აღმოჩნდნენ ნამდვილი ქურდები და საზოგადოების წინაშე აღიარეს ყველა თავისი დანაშაული. ისეთ დანაშაულშიაც კი გამოტყდნენ, რაიც კომისიას არ სცოდნოდა. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხს არავითარი ძალმომრეობითი ღონისძიება არ უხმარია მათს გასატეხად. საზოგადოებამ გულწრფელი მადლობა გადაუხადა კომისიას უანგარო, მიუდგომელი შრომისათვის და ქურდებს კი დაავალა შემდეგი: რადგანაც გულახდილად აღიარეთ და გაქვთ, როგორც ამბობთ, შეგნებული ქურდობის მავნებლობა, გეპატიებათ ძველი დანაშაული, თუ მომავალში გასწორდებით; ამასთანავე საზოგადოებამ ქურდებს დაავალა აუცილებლად ყოველ ყრილობას დაესწრონ, მიიღონ საზოგადო საჭირ-ბოროტო საკითხებში მონაწილეობა, რომ ამით ცოტად, თუ ბევრად სულიერად დაუახლოვდნენ საზოგადო ჭირ-ვარამს.

ამავე საზოგადოებაში არსებობს გოგორეთის შემნახველ-გამსესხებელი კასა, რომელიც, კარგა ხანია, მოელის რევიზორის თვალებს, მაგრამ არ აქნა და ვერ ეღირსა. ვერც რევიზიას... ვერც წელში გასწორებას.

არის იქვე მთავრობის მიერ გახსნილი საფერშლო პუნქტი, რომლიდანაც ეძლევა მცხოვრებთ უფასოდ 15 თუმნის წამალი და უსასყიდლოდ გასინჯვა ავადმყოფებისა. საზოგადოებას დიდ საშუალებას აძლევს ასეთი დაწესებულება და მეტი, ვიდრე დღეს, ყურადღების ღირსიცაა იგი მცხოვრებთაგან.

რამდენიმე დღეა განუწყვეტლივ ჰქრის და წვიმს, რაიც დიდ ზიანს აყენებს სიმინდს და ყურძენს. ეს უკანასკნელი წელს სამეათედოდაც აღარ მოსულა და ისიც ქარისა და წვიმის მსხვერპლი გახდა. ძველ სიმინდს პეპელა გაუჩნდა და ახალს კარგი პირი არ უჩანს.

წუნარი ბლქბჯი.

სოფ. ერთაწმინდა (გორის მაზრა). ოცს ამ სექტემბერს აქ იცის ადგი-

---

კავშირს აღზრდის ფუნქციებსა და სოციალური ცხოვრების მორალის შორის. აღზრდის მთელი სისტემა რომში პირადი ბედნიერებისაკენ უფრო იყო მიმართული, ვიდრე საერთო, სოციალურ კეთილმდგომარეობის დასამყარებლად და მის განსამტკიცებლად. რომაელის თითოეულ მოქმედებას უახლოესი, პრაქტიკული მიზნის მიღწევა ჰქონდა დასახული და ამავე დროს იგი მოკლებული იყო სახელმწიფოსათვის საჭირო შორსმხედველობას. მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის ზრუნვამ გარყვნილებამდე მიიყვანა სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმე და ბოლოს სრულიად დაამხო მსოფლიო იმპერიად წოდებული, ძველად ძლევამოსილი რომი.

პლატონისა და არისტოტელის სისტემებიც უძლურნი აღმოჩნდნენ ამ ორი მოპირდაპირე ბანაკის—პიროვნებისა და საზოგადოების—მოსარიგებლად. მათი ცდაც უნაყოფო აღმოჩნდა, რადგან იგი არსებითად არისტოკრატული თვისებისა იყო და ფართო მასაში ფეხი ვერ მოიკიდა, იგი ეყრდნობოდა ადამიანის გონებას და ეს არ იყო ყველასათვის თანაბრად მისაწდომი. უფრო დემოკრატიული საშუალება ქრისტიანობამ აღმოაჩინა: იგი აფუძნებს თავის იმედებს ადამიანის მორალურს მხარეზე, რაც ერთნაირად ეკუთვნის ყველას. აქ მარტო ინტელლექტი, მარტო გონება არ მუშაობს. მასთან ერთად ნებასაც თანასწორი უფლება და სარბიელი აქვს დათმობილი. ქრისტიანობამ ჰპოვა ამ მსოფლიო პრობლემის გადაწყვეტილება არა სადღეისო პირად ბედნიერებაში, არამედ ქრისტიანულს ლმობიერებასა და სიყვარულში.

ქრისტიანული პრინციპების გავრცელების შემდეგ პედაგოგიკას მეთვრამეტე საუკუნემდე არ შეუქმნია ახალი ღირებულება ამ სფეროში. საყურადღებოა მხოლოდ სქოლასტიკის ეპოქა, და ისიც ერთფეროვანი, ცალმხრივი მიმართულებით, რომელიც სიმახინჯემდისაც კი მივიდა ამ მხრივ. სქოლასტიციზმი ოთხი საუკუნის განმავლობაში მეფობდა მთელს ევროპაში. სქოლასტიკა შემდეგი თვისებებით დახასიათდება უმთავრესად: დაუფიქრებლად, უკრიტიკო ქედის მოხრა საეკლესიო ავტორიტეტის წინაშე; თავისუფალი კვლევა-ძიების სურვილის ჩაქრობა; იგი ხელს არ უწყობდა პატიოსანი ეჭვის გაღვიძებას, იმ ეჭვისას, რაშიაც მეცნიერული ძიება საზოგადოდ და, პედაგოგიკა კერძოდ, ერთად-ერთს იმედსა ჰხედავს, სალი მოსაზრებისა და სრული ჭეშმარიტების გასამარჯვებლად. ამ ნაკლულევანებასთან ერთად მაშინდელ სკოლაში გამეფებული იყო სასტიკი გარეგანი დისციპლინა როზგისა და ჯოხის საშუალებით. ასეთი პოლიტიკა გააძლიერა საეკლესიო მთავრობამ მხოლოდ ერთი მიზნის მისაღწევად: ეკლესიის უფლებისა და ავტორიტეტის გასაფართოებლად და გასაბატონებლად არა მარტო რომის საბრძანებელში, არამედ მთელს მაშინდელ განათლებულს ევროპაში. ამიტომ მთელს იმდროინდელ განათლებას ღრმა სასულიერო და მეტაფიზიკურ-რელიგიურ დაღი ესვა. მხოლოდ რამდენიმედ თავისუფალ საფუძველზე აღმოცენებული უნივერსიტეტები ასაზრდოებდნენ, შიგა და შიგ, თავისუფალი კვლევა-ძიების სულსა და სურვილს. ამ უნივერსიტეტების შვილნი არიან როჯერ ბეკონი, დანტე, პეტრარკა, ვიკლეფი, იან გუსი და კოპერნიკი—ეს პირველი პიონერები აზრის ახალი მიმართულებისა.

დადგა ხანა ჰუმანიზმისა და რეფორმაციისა, რომელმაც ახალი მიმართულება შეიტანა აღზრდა-განათლების საქმეში. ამ დროს ჩამოყალიბდა თავისუფალი, დამოუკიდებელი ცხოვრების იდეალი პიროვნებისა და სახელმწიფოებისათვის ნაცვლად რომისა და ეკლესიის ბატონობისა. ადრე თუ თეოკრატია იმონებდა პიროვნებას და სახელმწიფოს, თუ ეს ორი უდიდესი ღირებულება მხოლოდ საშუალება იყო თეოკრატიის განსახორციელებლად, ეხლა მისი ადგილი დაიჭირა ახალი განვითარების თავისუფალმა იდეალმა ცხოვრების სიამ—ტკბილობა, სულსა და ხორცს შორის სრული ჰარმონია-შეთანხმება, აზრის დამოუკიდებლობა და მისი ფორმის—ენის—სიმშვენიერე, აი ის მისწრაფებანი ძველი, კლასიკური აზრისა და მიმართულების აღსადგენად, რომელიც ახალი ხანას მთელს შინარსს, ჰუმანიზმის სულსა და გულის შეადგენს. საეკლესიო-რეფორმატორული მოძრაობის არსებით მხარეს კი შეადგენს პაპის უფლებებისა და რომის ცენტრალიზაციის წინააღმდეგ გამოცხადებული პროტესტი, ზნეობრივსა და რელიგიურ-სარწმუნოებრივ საქმეებში. რეფორმაციის ჰუმანიზმიან დაკავშირებამ გააძლიერა და გახანგრძლივა ეს უკანასკნელი, გაალრმავა და განამტკიცა მისმ მისწრაფებანი და იდეები. ამის შემდეგ კი შეუძლებელი გახდა საშუალო საუკუნოებისაკენ ხელახლად პირის ბრუნება. ამ ახალი მოძრაობის წყალობით აღზრდა-განათლებასაც ღრმა ფსიხოლოგიური ხასიათი მიეცა; მკაცრი, სასტიკი დისციპლინას ადგილი აღზრდის საქმეში ნაზმა, ადამიანურმა მობყრობამ დაიჭირა და თვით აღზრდას კი ეხლა ნაციონალური ელემენტები დაერთო ნაცვლად ადრინდელი, მშრალი, უსიცოცხლო ინტერნაციონალიზმისა. ამავე დროს დაიბადა იდეა საყოველთაო სწავლის შემოღების და ქალთა აღზრდის თეორია. აღორძინების ხანამ პედაგოგიურ მეცნიერებას დიდი სიმდიდრე შესძინა. მან აღადგინა ძველი ცნება თავისუფალი აღზრდისა, რომელიც შეიცავდა ფიზიკურს, ესთეტიურს, მორალურს, ლიტერატურულს და სოციალურს ელემენტებს, და აგრეთვე განყენებულს პრინციპებს—თეოლოგიურს და საეკლესიოს. ეს სისტემა მოითხოვდა ადამიანის თავისუფალ აღზრდას, დამოუკიდებელი, განვითარებული, ინდივიდუალური ნიჭით დაჯილდოვებულს. ასეთი ადამიანის ზნეობრივი მიზანი იყო სამშობლოსათვის გულწრფელი სამსახური მისი კეთილ-წარმატების სასარგებლოდ. ასეთმა მოძღვრებამ მარჯვედ მოიკიდა ფეხი მთელს ევროპაში და კათოლიკურ ქვეყნებში, განსაკუთრებით. ეკლესიისა და პაპის ფართო ბატონობას ძირი ეთხრებოდა სამუდამოდ. მაგრამ მასაც გაუჩნდა თავგანწირული დამცველი იეზუიტიური კოლეგიების სახით. ამ ორდენის მიზანს შეადგენდა ეკლესიის ძველი ძლიერებისა და მისი სიდიადის აღდგენა, ეხლა რომ ჩამოქვეითებული იყო, რეფორმაციის წყალობით. მათ სურდათ პაპის უფლებისათვის დაემორჩილებინათ მთელი ევროპა და მის გარდაუვალ ბრძანებლობის ქვეშ ჰყოლოდათ ყველა საქრისტიანო ქვეყანა. ამ მიზნის მიღწევას ისინიც ახალთაობის თავისებურად აღზრდა განათლებით აპირებდნენ; ხოლო ჩვეულებრივ სასწავლო საგნებს დაერთოდა განსაკუთრებული დარიგებანი ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ხასიათისა. იეზუიტურ სკოლებს, როგორც მათ მიზანს შეეფერებოდა, დიდი ნაკლიცა ჰქონდა: ეს იყო მათი უსიცოცხლო, მომაკვდინებელი გავლენა მოწაფეებზე, რითაც ბრმა, ყურმოჭრილ მონა-მორჩილ ადამიანებად ჰხდიდენ მათ თავიანთ ზრახვათა განსაკუთრებულად, თუმცა ამავე დროს რბილად, ჰუმანიურად ეპყრობოდნენ მათ და ზრუნავდნენ აგრეთვე მათ ჯანმრთელობაზედაც. მიზნის მისაღწევად იეზუიტები არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. აქედან წარმოსდგა მათი „მიზანი ამართლებს საშუალებათ“. მაგრამ მალე მოეღო ბოლო იეზუიტურ მოძღვრებას. მას უსწრო პედაგოგიკას რეალისტურმა მიმდინარეობამ. რომლის გამოჩენილი წარმომადგენელიც არის კომენსკი, ეს უდიდესი მესვეური პედაგოგიკის ისტორიაში. მხოლოდ წმინდა პედაგოგიური აზრების განხილვა რომ მქონდეს აზრად, უეჭველია, კომენსკისათვის აქ ერთი პირველი ადგილთაგანი უნდა დამეთმო, მაგრამ ეხლა მას გვერდი უნდა ავუარო თითქმის. მოვიხსენიებ მისი განათლების ოთხი საფეხურიდან მხოლოდ „დედის უბის სკოლას“ (ექვს წლამდე) და სკოლას „სამშობლო ენისას“ (შვიდიდან თორმეტ წლამდე) საყოველთაო სახალხო განათლებისათვის. ექვს გარეშეა, რომ ამ ორ საფეხურზე აღზრდა-სწავლება უნდა სწარმოებდეს **მხოლოდ და მხოლოდ სამშობლო ენაზე**, რაც დღეს სხვა და სხვა მოსაზრებით ზოგიერთ ქვეყნებში და, განსაკუთრებით კი რუსეთში, უარყოფილია, იგრედ წოდებულ „ინოროდცებისათვის“. ამ მიმართულებას მე 17-ტე საუკუნის მეორე ნახევარში მოჰყვა ინდივიდუალურ-ანთროპოლოგიური მიმართულება. ამ მიმდინარეობისა და, საზოგადოდ, განმანათლებელი მოძრაობის დამწყებია ინგლისელი მოაზროვნე ჯონ ლოკი. ამ მოძრაობის დამახასიათებელი თვისებაა რწმენა მონების ძლიერებისა და ყოვლად შემძლეობისა, დამყარება მთელი იმედისა გონებაზე. ყველაფრისათვის მხოლოდ გონების შემწეობით ცდილობდნენ საუკეთესო გზის მიცემას. ლოკი უარჰყოფდა ყოველ მემკვიდრეობითს და თანდაყოლილს თვისებას. მისი აზრით, ბავშის სული არის tolula rasa, რომელიც მხოლოდ შთაბეჭდილების საშუალებით აღივსება სხვა და სხვა იდეით. ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ აღზრდაზეა დამოკიდებული ადამიანის ბედნიერება თუ უბედურებაო. რამდენიმედ ლოკი ნატურალისტური აღზრდის თეორეტიკოსათაც უნდა ჩაითვალოს. თვით ამ მიმართულების დამამყარებელი პედაგოგიკაში—ჟ. რუსო სცნობს ინგლისელ ბრძენს თავის მასწავლებლად ამ საქმეში. ლოკის სენსუალიზმი ფილოსოფიურ საფუძვლად დაედო რუსოს ნატურალიზმს. ბავში ბუნების შვილიაო და მისი აღზრდაც ბუნების კალთაზე და მისი საშუალებით უნდა ხდებოდესო. ამათი აზრით, წიგნი არ შეადგენს მნიშვნელოვან საშუალებას ბავშის აღზრდის საქმეში. თვით ბუნება უნდა იყოს ბავშისათვის ცხოველმყოფელი და მასაზრდოებელი წყაროო. რუსოს აზრით ადამიანის სიცოცხლის მიზანი ბედნიერებაა, ხოლო უბედურების წარმომშობი უზომო სურვილებიაო. თუ კაცს საშუალება არ ჰყოფნის სურვილების დასაკმაყოფილებლად, იგი უბედურიაო. აქედან, ადამიანის სიბრძნე გამოიხატება სურვილების შემცირების უნარში საშუალებათა მიხედვით, მათს გათანასწორებაშიო. სურვილინების ძალას უნდა დაემორჩილოს და საშუალებებს შეუთანხმდეს. უამისოდ კაცი ბედნიერებას ვერ მიაღწევს. მაშასადამე, აღზრდაც აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული. თანახმად ასეთის შეხედულებისა, რუსოს მთელი პედაგოგიური სისტემაც უკიდურეს ინდივიდუალიზმზეა აგებული. რუსო თხოულობს, რომ შვილების აღზრდა თვით მშობლებს დაევალოს. „ვინც მისცა ბავშს სიცოცხლე, მანვე უნდა ასწავლოს მას ცხოვრების სიბრძნეო. ვისაც მამის მოვალეობის შესრულება არ შეუძლიან, მას უფლებაც არ აქვს მამობისაო“ და სხ. თუ როგორს საზოგადოებრივსა და მორალურს მნიშვნელობას აძლევს რუსო დედას, იქიდანაც სჩანს, რომ იგი ბავშის აღზრდას უდედოდ შეუძლებლადა სცნობს.

გ. ჭუმბურიძე.

(დასასრული იქნება)

ლობრივ ეკლესიის დღეობა „ერთაწმინდობა“. აქაური მცხოვრებნი ეხლავე შეუდგნენ ამ დღისთვის მზადებას. დაიწყეს, ჯერ კიდევ მკვახე, ყურძნის კრეფა—მაჭრის დასაყენებლად. ადვილი მისახვედრია, რა თვისების ღვინო დაუდგებათ მკვახე ყურძნისაგან, მერე აქეთ მხარეს, სადაც ყველაზე გვიან მწიფდება. მაგრამ თავისას არ იშლიან, ოღონდ დღეობისთვის სასმელი ჰქონდეთ სახლში. სეტყვისაგან განადგურებულ მოსავლებიდან ბევრმა ორი-სამი კოდიც ვერ შეინახა ზამთრისთვის, ან როგორ შეინახავს: ამ მცირე მოსავალსაც დღეობა შთანთქავს. ვისაც არა მოსვლია რა, ვალების ასაღებად დარბის, ერთი-ორად მეტ სარგებელს აძლევენ, ოღონდ ხელი გაიმართონ და სტუმრებთან პირ-შავად არ გამოვიდნენ. მოვახშეებმა ეს კარგად იციან და სარგებელი ცამდე ასწიეს. ხუმრობა ხომ არ არის, მთელი 4—5 დღე დღეობისა სტუმრები გამოულეველნი ეყოლებათ და, რაც უნდა მცირე შეძლების ოჯახი იყვეს, ოცი ორმოცი მანეთის სანოვაგე მაინც დასჭირდება.

ბევრს მოლაპარაკება ჰქონდა, რათა დაედგინათ დღეობისთვის სტუმრები არ მიეღოთ, რადგანაც 7—14 განვლილ ივლისის სეტყვამ დიდი ზარალი მიაყენა, აგრეთვე დიდძალი ხარჯი აწევს სოფელს გასასტუმრებელი და რამდენიმე საქმე დაუმთავრებელია, როგორც, მაგალითად, ადგილობრივ სკოლის შენობის დამთავრება და წყაროს მოყვანა, მაგრამ გამოუჩნდნენ ისეთი პირებიც, რომლებიც გაიძახოდნენ: სტუმარი ჩემი ნებაა, გინდ მივიღებ, გინდ არაო.

რაც შეეხება წყაროს მოყვანას, ამაზე ხომ აგერ ხუთი წელიწადია დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი აქვთ, გაზეთის ფურცლებზედაც ბევრჯერ იყო აღნიშნული ამის თაობაზე, მაგრამ ვერ იქმნა, სოფელი ერთს გადაწყვეტილებას ვერ დაადგა. და რომ დღეობისთვის წყალი იყვეს და ადგილობრივმა მამასახლისმაც შენიშვნა და უსიამოვნობა არ მიიღოს, თვალის მოსატყუებლად ამნაირად ხრიკებს მიმართეს: ჰყიდულობენ წვრილ ნაძვის ლატნებს, უბრალო ღარებად აკეთებენ, აწყობენ და მახლობელ წყაროს აღებენ დროებით, მითომდა წყალი გვაქვს სოფელშიო. ბოლო კი ის იქნება, რომ დღეს წვიმის ნიაღვარი დაანგრევს ღარებს და სოფელი იმავ გაჭირვებაში ჩავარდება, რასაც აქამდე განიცდიდა უწყლობით. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს—და წყაროს მოყვანა საძირკვლიანად დაიწყონ. **ვანო.**

თეატრი და ხელოვნება

დავ. კლდიაშვილის საღამო. გაიმართება ქართულ თეატრში 11 ოქტომბერს. პირველ განყოფილებაში კიტა აბაშიძე წაიკითხავს საინტერესო ლექციას „ილია ჭავჭავაძე და არჩილ ჯორჯაძე“. მეორე განყოფილებაში დავ. კლდიაშვილი, ჯ. ჯორჯიკია და ი. გრიშაშვილი წაიკითხავენ საკუთარ ნაწარმოებთ. მესამეში ალ. ჯანელიძე წაიკითხავს „ეროვნული შემოქმედება“. დასასრულ წარმოდგენილი იქნება „დარისპანის გასაჭირი“, რომელშიაც ვალ. შალიკაშვილი შეუდარებელია. იმედია, საზოგადოება დაესწრება ამ საყურადღებო საღამოს, მით უმეტეს, რომ ალ. ჯანელიძე და ჯ. ჯორჯიკია პირველად გამოდიან ტფილისის საზოგადოების წინაშე.

ქართული თეატრი.

გაუგებარია, თუ რამ გამოიწვია პოლიაკოვის „ლაბირინტის“ დადგმა ქართულ სცენაზე. თუ ჩვენი თეატრის გამგეებმა მხედველობაში მიიღეს ის, რომ პიესა დაჯილდოვებულია ოსტროვსკის პრემიით, ეს გარემოება ძლიერ სუსტი საბუთია. პუშკინის თუ ტოლსტოის სახელის პრემიითაც რომ ყოფილიყო დაჯილდოვებული დრამა, მაშინაც არაფერს გვეტყოდა იგი ჩვენ. საზოგადოდ ქართულს თეატრს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ რუსულს პიესებს, რაც შეიძლება, ნაკლები ადგილი უნდა დაუთმოს, რომ მხოლოდ იშვიათის ღირსების რუსული ნაწარმოების წარმოდგენა შეიძლება ჩვენს სცენაზე, ეს იმიტომ, რომ რუსულს ცხოვრების, შემოქმედებას, მწერლობას უთეატროდაც საკმაოდ ვიცნობთ, ყველაფრის რუსულის გავლენა ჩვენზე ისეც დიდია, გადამეტებულიცაა, ამისათვის სასურველია და სავალდებულოცაა, რომ არა ორიგინალური პიესები ევროპიული ენებიდან იყოს გადმოთარგმნილი, რომ თეატრმა ხელი შეუწყოს ჩვენს დაახლოვებას ევროპის ცხოვრებასა და კულტურასთან. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ევროპიულ ენებზე უთვალავი, მეტად კარგი პიესაა დაწერილი და ჩვენი მდგომარეობის შესაფერი დრამის თუ კომედიის ამორჩევა ადვილია.

„ლაბირინტის“ შინაარსი ახალს არაფერს წარმოადგენს: ვარვარა ალექსეევნას (ნ. ჩხეიძის ასული) უსაზღვროდ უყვარს თავისი ქმარი ფილიპე (შანშიაშვილი), კმაყოფილია, სავსეა ბედნიერებით. მაგრამ ფილიპე უეცრად მოკვდება, მოკვდება საყვარლის ლოგინზე. ვარვარა მხოლოდ ახლა გაიგებს, რომ ქმარი ღალატობდა; ეს ამბავი დაამსხვრევს მის ცხოვრებას, მას ეკარგება ყველაფრის რწმენა, გზას ვერ ჰპოულობს ლაბირინტიდან გამოსასვლელად და თავს მოიწამლავს.

დრამამ მაყურებლებზე ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. თამაშის მხრით აღსანიშნავია ვ. გუნია და განსაკუთრებით ნ. ჩხეიძის ასული. უკანასკნელის თამაში ნამდვილი მხატვრული შემოქმედება იყო, მაგრამ ვსწუხდით, რომ მისი ნიჭი-შრომა და ხელოვნება ისეთ უფერულ პიესაში იხარჯებოდა როგორიცაა „ლაბირინტი“.

სათაურის ბრალი იყო, თუ სხვა გარემოება, წარმოდგენას საზოგადოება ძლიერ ცოტა დაესწრო.

კალამი.

ქუთაისი. დღეს, 5 ოქტომბერს, ქალაქის თეატრში ტფ. დრამატიულ საზოგადოების დასი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილ იქნება ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით ხუთ-მოქმედებიანი დრამა: „ედმონდ კინი“.

კვირას დასი ითამაშებს ახალ პიესას: „ინსტიქტი“ რომელიც ტფილისის საზოგადოებას ძლიერ მოეწონა. სხვათა შორის მონაწილეობენ: ქ. მ. მდივნის და ა. ქიქოძის ასულნი გ. კოტე მესხი; ა. იმედაშვილი და სხვ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

4 ოქტომბერი.

უცხოეთი.

სტამბოლი. აეკრძალა საბერძნეთის გემებს სტამბოლში შესვლა, რაც წინად ნებადართული იყო.

ტოკიო. ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, მთავრობა იძულებული ხდება, დაუბრუნდეს ძველს სისხებს რკინის გზების გასაყვანად, კოკუმინტოს პარტია ჰკიცხავს იაპონიის ჩინეთში მოქმედებას. არც სხვა პარტიები თანაუგრძნობენ მთავრობის პოლიტიკას. ევროპაში გაემგზავრა გენერალი ტონაკო, ბალკანეთის საქმეების გასაცნობად.

ლეიპციგი. დიდის ამბით გადაიტანეს ლეიპციგიდან დაღუპულ მხედრების გვამები.

ხუელვა. ორ ოქტომბერს მთამადნეულობის მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს, მუშებმა მატარებელს ქვები დაუშინეს.

რუსეთი.

მინსკი. ოლქის სასამართლომ ცოლ-ქმარს ხროლოვიჩებს ორი კვირით ციხე მიუსაჯა შვილების კათოლიკურ წესზე მონათვლისთვის. კსენძი მანიფესტის გამო განთავისუფლეს.

პეტერბურგი. გაიხსნა სრულიად რუსეთის მევენახეობის, ხილეულობისა და ბოსტნეულობის გამოფენა. გამოფენას 200 კაცი დაესწრო.

დაიჭირეს „დენის“ მე 267 ნომერი.

იაროსლავი. სათათბიროს დეპუტატად კადეტი ჩერნოსვიტოვი აირჩიეს.

ნოვოჩერკასკი. დონის ოლქში შავი ჭირის ნიშნებით გარდაიცვალა ორი კაცი. შეუდგნენ ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევას.

ბლაგოვეშჩენსკი. 3 ოქტომბერს თავს დაესხნენ მეარტელეს და ექვსი ათასი მანეთი წაართვეს. თავდამსხმელნი შეიპყრეს, რომელთაც პოლიციას სროლა აუტეხეს.

პეტერბურგი. სასამართლო პალატამ გაზეთ „ლუჩის“ რედაქტორს ერთი წლის ციხე გადაუწყვიტა, „ლუჩის“ გამოცემა სამუდამოდ შეაჩერა.

ბეილისის საქმე.

კიევი. კრება თორმეტის ნახევარზე იწყება. ჩვენებას ართმევენ მკერვალ პრავდივის და მკერვალ ქალს მოსკალიუკოვისას, რომელნიც სასულიერო სასწავლებლის მოწაფეების ტანისამოსს ჰკერავენ. მოწმეები აცხადებენ, ასეთი საქონლისაგან, როგორისაც ეს ჩვრებია, ტანისამოსი ჩვენ არასდროს შეგვიკერავსო. გამოაქვეყნეს* მიშჩუკის ჩვენება, რომელიც ამბობს, ვიღაც კუშნირმა მაცნობა, ეს საქმე ქურდებმა ჩაიდინეს ებრაელების ასაწიოკებლად, რომ ბევრი ნადავლი ჰქონდათო. პროკურორი მიშჩუკის დასჯის კოპიოს წარმოადგენს. მიშჩუკს იუშჩინსკის საქმის გამო ყალბი დოკუმენტების გამოჩენისთვის, რათა საქმის წარმოება ბრუდე გზაზე დაეყენებია, სასამართლოს მიერ გამასწორებელი რაზმი მიესაჯა. ნაფიც მსაჯულთ წარედგინათ დოკუმენტები. სასამართლო ზამისლოვსკის უარს ეუბნება მიშჩუკის მოხსენების გამოქვეყნების თაობაზე. ეს მოხსენება 1912 წელს 13 ივნისს პოლიცმეისტერს წარუდგინა. სასამართლო ადასტურებს, ეგეთი მოხსენება არსებობსო.

გრუზენბერგის შუამდგომლობისა გამო აქვეყნებენ ჩებერიაკის მორიგეობის საათებს. გრუზენბერგი უთითებს მოწმის არეულ ჩვენების თაობაზე: გამომძიებელს უთხრა ბავშვებს მარტო მენდელი მისდევდა, ეხლა ამბობს — მენდელი და ორი რაბინი დაედევნაო; ამის გამო მოწმე თავს იმართლებს, მაშინ ყველაფერი მახსოვდა მოწმე აცხადებს, მორიგეობის დროს ამხანაგი გამომცვლიდა ხოლმე, მაგრამ წესრიგი არ შეიცვლებოდაო. კარაბჩევსკს უპასუხებს, მორიგეობის დრო წეს-რიგის წიგნით გამოირკვეოდაო. გრუზენბერგი აღნიშნავს, მოწმეს ბავშვების მოწამვლის თაობაზე გამომძიებელთან რომ უთქვამს— მწვანილისაგან მოიწამლენო და ხაჭაპურზე კრინტიც არ დაუძრავს. მოწმე აცხადებს, როცა სამსახურიდან დამითხოვეს, მთავრობა დაწინაურებას მპირდებოდა; ეს კრასოვსკისა ბრაზულის მოხერხება იყო, უნდოდათ დავლარიბებულიყავით და ცოლს ფულისთვის თავის თავზე მიეღო დანაშაულიო. მღვდელი სინკევიჩი, რომელმაც ჟენია აზიარა, ამბობს ბავშმა დამიძახა, როცა სახლიდან გავდიოდი, მოვბრუნდი, მაგრამ აღარა მითხრა-რაო, შეიძლება, რომ ჩემს უკან მდგომი დედა ანიშნებდა, არაფერი სთქვაო; მოწმეს ჩებერიაკისაგან გაუგონია, ებრაელებს ტყუილად აბრალიანო. მოწმეს სურს, სასამართლოს უამბოს მოწმე ქალის პიმენკოვას ნაამბობი, ეხლა რომ მოწმეების ოთახში გაიგონა, მაგრამ ბრალმდებელი და კარაბჩევსკი წინააღმდეგნი არიან. ზამისლოვსკი მოითხოვს ოქმში შეტანილ იქმნას კარაბჩევსკის სიტყვები: „ყველანაირი ჭორის მოსმენა არ გვსურსო“, ეს სასულიერო პირის შეურაცხყოფა არისო, ამბობს ზამისლოვსკი. კარაბჩევსკი განმარტავს: მე მეზობელს ვუთხარი: პიმენკოვის ქალის ჭორის მოსმენა არაა სასურველიო“. თავმჯდომარე სთხოვს მხარეებს ხმა დაბლა ისაუბრონ.

მოწმე გალკინი, „ორთავიან არწივის“ საზოგადოების ერთ დამაარსებელთაგანი, ამბობს, ვიდრე კრასოვსკი პოლიციის უფროსად დაინიშნებოდა, გაიძახოდა: ეს რომ ამ საქმეს მომანდობდნენ, მე აღმოვაჩენ ურიების შეთქმულებას ამ საქმეშიო. ხოლო როცა დაინიშნა, პირველად სწორედ ამ გზით მიჰყავდა გამოძიება, მაგრამ შემდეგ შესცვალა. ანდრია სლობოდკაზე არენდართან დადიოდა, სადაც ებრაელები ლოცულობდნენ და რაბინები თავს მოიყრიდნენ ხოლმეო. იუშჩინსკის სახლს ვიღაც შნეერსონი ადევნებდა თვალსაო. მოწმეს შნეერსონი თავის დღეში არ უნახავს; ხოლო სხვების აწერილობით ამგზავსებს შნეერსონსაო. გრუზენბერგის შუამდგომლობისა გამო გამოაქვეყნეს წინანდელი ჩვენება მოწმე ამბობდა: ანდრიას „წითელი“ ურია დასდევდაო. გალკინი ვიღაც კოპცევის სიტყვებს სასამართლოს უამბობს: 12 მარტს ანდრიუშა წითელ ქუდიან ურიას მიჰყავდა ზაიცევის ქარხნისკენაო. მილლერს უთქვამს მოწმისთვის, საზღვარ-გარეთის ბილეთი ეტინგერს მე აუღეო. ხელმეორე შეკითხვის დროს ვერა ჩებერიაკი აჩვენებს, ფული მარგოლინმა, ბრაზულმა და ერთმა უცნობმა შემძლიაო, თან დამუქრებიან, ხარკოვში უკაპეიკოდ დაგტოვებთო და მოწმესაც მენდელის წინააღმდეგ უჩვენებია. როდესაც მიფლეს გაუგია, ჩებერიაკის ქალი და ვიგრანოვი მის წინააღმდეგ რაღაცას აპირებენ, ვიგრანოვს უცემია მოწმე. გრუზენბერგს მოწმე ეუბნება, ანდრია ტანისამოსზე და რვეულებზე ვიცანიო. ბრალმდებელს მოწმე ეუბნება—რომანიუკს, კუჩერენკოს და ცუპენკოს არ ვიცნობო. როზმიტალსკი ცნობებს აწვდიდა თავისი ნებით კრასოვსკი, რადგან მას როგორც მეტად დახელოვნებულს პირსა სცნობდაო. შემდეგი მოქმედება კრასოვსკისა მოწმეს აკვირვებდა. მოწმეს აზრით ებრაელების საქმეა ანდრიას მკვლელობა და სწორედ ამან აიძულა, თითონაც ხელი მიეყო გამოძიებისთვის და შემდეგში კრაკოვსკისთვის ეცნობებინა.

მოწმე განაგრძობს, ვაჭართა საკრებულოში სასამართლო ოლქის ყოფილ უფროს ტარნოვსკის ეესაუბრებოდი და უმტკიცებდი, მკვლელობა რიტუალურ ნიადაგზე არის მომხდარი თქო, იქ მყოფი ორი ებრაელი ურჩევდა ტარნავსკის, ჩემთვის არ დაეჯერებინა და თან დასძინეს, ბავშვი მამინაცვალმა მოჰკლა, რომელიც უკვე დატუსაღებული არისო. გამოირკვა, ამბობს მოწმე, რომ ლუკა პრიხოდკო მხოლოდ ამ საუბრის მეორე დღეს დაატუსაღესო. ბრალმდებელს მოწმე უპასუხებს. მართლმადიდებელი ვარ, რუსების საკრებულოს საპატიო წევრი, საქმემ დააინტერესა, რადგან „რუსკოე ზნამიასა“ და „ზემშჩინაში“ რიტუალურ მკვლელობის თაობაზე ამოიკითხა და ეს შემთხვევა ძლიერ მიამსგავსა აღნიშნულ ხასიათის მკვლელობას. კარაბჩევსკის უპასუხებს, მართალია იყო ლაპარაკი, რომ მშობლებმა მოჰკლესო. გრუზენბერგის შუამდგომლობისა გამო სასამართლო აქვეყნებს, რომ კირილოვის ქუჩა მე-63 ნომერში სცხოვრობდა ეტინგერი, რომელიც 1911 წელს 24 იანვარს საზღვარ-გარედ წავიდაო. პროკურორი და ზამისლოვსკი ზედმეტად სთვლიდნენ ამის აღნიშვნას, რადგან, მათი აზრით, მოწმე რომელ ეტინგერზე ლაპარაკობს მოწმე, არავინ იცისო.

მოლერი, ზაიცევის ქარხანაში მომუშავე, ადასტურებს, საზღვარ-გარეიდან ჩამოდიოდა ზაიცევის ცოლის ძმა ეტინგერიო. მოწმეს ეტინგერისათვის საზღვარ-გარეთის პასპორტი და რკინის გზის ბილეთი აუღია. 1907 წლიდან მაცას ყიდულობდნენ და არ კი ამზადებდნენ. ბრალმდებლის შეკითხვაზე მოწმე უპასუხებს, არ ვიცი როგორ მოხდა, რომ წიგნში ეტინგერის წასვლის დღეთ 24 იანვარი სწერია, როცა ეტინგერი სააღდგომოდ იყო, ე. ი. მარტშიო.

სტუდენტი პოზდნიკოვი თავის ამხანაგის გოლუბევის ჩვენებას იმეორებს. მოიგონებს მღვიმესთან დობჟანსკის შეხვედრას, და დობჟანსკის სიტყვებს, ბეილისს უსათუოდ გაამართლებენ, ხოლო ჩებერიაკს გაამტყუნებენო, მოიგონა, თუ როგორ სცემეს შახოვსკის და აიძულეს ჩვენება გადაესხვაფერებინა. პირდაპირ წაუყენეს ერთმანერთს მოწმე და დობჟანსკი. დობჟანსკი უარს ამბობს, მარგოლინს არ ვიცნობო, არცა რა იმის თაობაზე მილაპარაკნია და შახოვსკის ცემისა არა ვიცი რაო. პაცენკო და გოლუბევის ჩვენება ახალს არაფერს ამბობს. თავმჯდომარე აცხადებს: ლობე, რომლის თაობაზედაც მოწმეები ამბობენ, შემდეგ იქმნება დათვალიერებული, რადგან 30 სექტემბერს სასამართლოს არ დაუთვალიერებია. ჩვენებას ართმევენ ქარხნის მუშებს, ერთი მათგანი აცხადებს, ბეილისს სრულებით არა ჰყოლია ძროხაო. ბეილისი ამბობს, ძროხა არ მყოლია 1910 წლიდანაო. ბრალმდებელს თავმჯდომარე შეაჩერებს, როცა პირველი ნაფიც მსაჯულებს ეუბნებოდა ყველა მოწმისთვის ჯერ არ გამოუკითხავთო. ბრალმდებელი გრუზენბერგის ასეთსავე განცხადებაზე უთითებს თავმჯდომარეს. თავმჯდომარეს გრუზენბერგის სიტყვები არ გაუგონია და ეხლა წინადადებას აძლევს თავი შეიკავოს ორივე მხარემ. მუშა ტისოვეცკი აჩვენებს ახალი ლობე 1910 წელს ააშენესო.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალობით გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ ზაქარია პარასკევაშვილს, რომელმაც კეთილ ინება და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას „ანკარა“-ს შემოსწირა ერთი თუმანი.

ამხ. „ანკარას“ გამგე **გრ. თოიძე**
ხაზინადარი **გიორ. შუბლაძე**.

რედაქტორი **ა. ჭუმბაძე.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

სპერმინი

სპერმინ-პელი ერთად ერთი ნამდვილი სპერმინი, ყოველ მხრივ ნაცადია და მიღწეული ბრწყინვალე შედეგების წყალობით, მოწონებულია მთელი ქვეყნიერობის სახელგანთქმულ მეცნიერების მიერ და მითი წამლობას ურჩევენ ნევრასტენიისა, სქესობრივი უძლურებისა, დაჩაჩანაკებისა, საერთო სისუსტისა, ისტერიისა, ნევრალოგიისა, სისხლ-ნაკლებობისა, ქლექისა, ათაშანგისა, ვერცხლის წყლით წამლობის შედეგებისა, გულის ავადმყოფობისა (სიმსუქნე, გულის ფრიალი, სკლეროზი, გულის ჩქროლა, გულის ცემა და მიკარდიტი), არტერიო სკლეროზისა, ლოთობისა, ხერხემლის ძვლის გახმობისა, დამბლობისა, დაღლილობისა და სხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ. ყურადღება უნდა მიაქციოთ სათაურს:

სპერმინ-პელია,

და მოერიდეთ უფასო უვარგის მიბაძვას, ეგრედ-წოდებულს სათესლე ძარღვების წვენს, რომელნიც **სპერმინ-პელიასთან** არც შემადგენლობით და არც მოქმედებით არავითარი საერთო არა აქვთ და ხშირად ჯანმრთელობისათვის საშიშ ნივთიერებას შეიცავენ. **სპერმი-პელია** ყველგან იშოვება.

პროფესორი ექიმი პელი და შვილები, ს.-პეტერბურგი.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.
Метцль 111309 1443

ავადმყოფებს!

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.
ნ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ნ. გ. ბეგახართვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეგტიხანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. ზურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, ბავშვთა, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6 7 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ბეგტიხანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდ ქტორი **ნ. ა. ნავასარდიანი.** 100

ექიმი **მ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** **გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

დაეკარგა სექტემბრის 21 დამეკარგა პასპორტი, აღებული ტემის საზოგადოების სამმართველოდან 12 ოქტომბერს 1912 წელს № 183. ქუთაისის გუბ. და მისივე მაზრის სოფელ კვაცხუტის მცხოვრები იულიანე ამირანის ძე მ-ჯანგალაშვილი. 677

გამოცდილი რეპეტიტორი **სტუდენტი ფილოლოგი** ამზადებს მოწაფეებს სხვა და სხვა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის.
მოლაპარაკება შეიძლება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში დილის 9 ს. 3-მდე. 1501.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
შემდეგი წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები.

იერარქია საქ. ეკლესიისა: კათოლიკ. და მღვდელ-მთავარნი,	1 მ.
იზაშვილი პ. ქართ. კათოლიკენი,	10 კ.
ისტორია ქართ. ჟურნ.-გაზეთეისა,	15 „
პარიზის ქრონიკა, ანუ ცხოვრება საქართ. დიდი მოურავის ამბებით.	30 „
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქ. ისტ. და მწერლ. წ. 1-ლ	3 მ.
„ იგივე . წ. 2-ე,	3 მ.
რუსეთ დამყარება საქართველოში,	20 „
სტატისტიკ. ცნობები საქართველოს შესახებ მე-18 საუკ.,	2 მ
ფრონელი ა. მთიულეთი.	40 „
„ კახეთის ამბოხება,	60 „
ქართლის ცხოვრება მარ. დედ. ვარ.,	3 მ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მე-13-ტე საუკუნემდე, წ. 1 ლი,	40 „
იგივე . წ. 2-ე,	1 მ.
იგივე . წ 3-ე	40 „
ქვარიანი. საქარ. მოკლე ისტ. ყდით,	40 „
ახლად მიღებული წიგნები:	
ზოლა „მაღაროებში მომუშავენი“, ი. ავალიშვილის ნათარგმნი,	85 კ.
ხახანაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია მე-19 საუკ.,	1 მ.
იოს ყიფშიძე. Житіе и мученичество Св. Антонія Раваха.	40 „
Н. С. Эсадзе, Первый генералъ-фельдцейхмейстеръ русс, артилл. при П. Великомъ царевичъ Имеретинскій Александръ Арчиловичъ.	70 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1913

სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულების ქვეშ მყოფი
ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები
ი. თ. პალატნიკოვისა.
თხოვნების მიღება და მსმენელთა ჩაწერვა ყოველ დღე დილის 10 ს. საღ. 8 ს.-დე. **მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.** კურსები იძლევიან საფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამზადებს საკანტორო-ბუღჰალტერიისა და კორესპონ. სამუშაოდ. კურსებზე შესწავლობს საფუძვლიანად სწავლობს: 1) ა) ბუღჰალტ. ჩვეულებ და ორნაირს: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ. სამუშაო), ბ) თვლა-ანგარიში: აზოგ., სავაჭრ., ბანკ., ქარხ., სასოფლო-სამეურ., 2) კომერც. ანგარ., 3) ვაჭრობის უფლება, 4) ვექსილის უფლება, 5) კომერციულ კორეს., 6) ანგარ. ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ. საწერ მანქანაზე, 3) რუსული ენა, 10) ანგარიში, 10) **უცხო ენები** ფრანგ. და გერმან., 12) საკომერც. კორესპ. უცხო ენებზე. **რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანებზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის.** მიმდინარე წელს კურსებზე სწავლობდა 182 კაცი, აქედან 3 საბულჰალტ. ჯგუფში იყო 144. მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოა. 1430

სავაჭრო უფლებიანი სკოლა და **საბუღალტერო კურსები**
ივანე ზაქარიას ძის ტერ-სტეფანოვისა.
15 ოქტომბრიდან გაიხსნება პარალელური განყოფილება კურსებისა მეცადინეობა კურსებზე საღამოს 7½ საათზე დაიწყება. სკოლაში მიღება დილის 8—3 საათამდე. 1 თუმანოვის ქუჩა № 13. მიღება კურსებზე საღამოს 6—10 საათამდე. მიხეილის პროსპ. № 53. 678

მივიღეთ საყინულე-მატარებლით
პეტერბურგიდან
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძმველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ამურის **წითელი ხიზილალა** |კეტოვი|, **სიგი**, **დვინის ორაგული**, **გრუზდი**, **ბრუსნიკა და სხვ.**
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა
კოლოფით და ხმელი სოკო. 150

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.